ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N11

ქ.თბილისი 10 ივნისი, 2022 წელი

14$^{00}$საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ აბაშიძე
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე
ვლადიმერ ბოჟაძე
ანა გოგოლაძე
შოთა გრიგოლია
ლევან დავითაშვილი
ნინო ვარდოსანიძე
მარიამ ზაქარიაშვილი
ანა კაკაბაძე
ნიკოლოზ კახეთელიძე
სალომე კობალაძე
ზვიად კუპრავა
ლილე ლიპარტელიანი
შალვა ოგბაიძე
გურამ ოქროპირიძე
ნინო რუხაძე
ვახტანგ სურგულაძე
გიორგი შარაშიძე
ზურაბ ჩიკვილაძე
ავთანდილ ცინცაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
სოფიო ჯაფარიძე
ლევან არველაძე
საბა ბუაძე
ოთარ გრიგოლია
მამუკა გუგეშაშვილი
ირაკლი ეძგვერაძე
კონსტანტინე ზარნაძე
ზაზა თავაძე
მიხეილ კაკაურიძე
ნინო კვიტაიშვილი
ცოტნე კობერიძე
კახაბერ ლაბუჩიძე
ირაკლი ნადირაძე
გიორგი ონიანი
ლევან ჟორჟოლიანი
რევაზ სოხაძე
დავით ფარცვანია
გიორგი ჩაკვეტაძე
გივი ჩხარტიშვილი
ირაკლი ხელაძე
ლევან ჯაფარიძე
ბარბარა ჯიმელი სულაშვილი

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ვლადიმერ ჭიღლაძე;
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი გიგა გიგაშვილი;
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე;
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე;
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეები: ვასილ აბულაძე, ოთარ ჩიტიძე და დავით ჯაიანი;
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი კახაბერ გულედანი;
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი ლევან ნაროუშვილი.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ, მწუხარება გამოთქვა ილია ელოშვილის გარდაცვალების გამო და განაცხადა: „ჩვენ გამოგვაკლდა ჩვენი მეგობარი, ჩვენი კოლეგა, ადამიანი, რომელმაც წლების განმავლობაში, ძალიან ბევრი გააკეთა ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი ქალაქისთვის და განსაკუთრებით, ბოლო წლების განმავლობაში, ჩვენ, ერთად, ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი საქმე განვახორციელეთ სხვადასხვა მიმართულებით“ და მიმართა საკრებულოს წევრებს, წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ მისი ხსოვნისთვის, რის შემდეგაც, სხდომაზე დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო ილია ელოშვილის ხსოვნას.

ზვიად კუპრავამ განაცხადა, რომ გუშინ, ევროკავშირმა პრაქტიკულად მოგვცა ვიზა და მიგვიღო მის ოჯახში, რაც ქართველი ხალხის ძალიან მნიშვნელოვანი მონაპოვარია, რისთვისაც ვიბრძოდით საუკუნეების განმავლობაში და ქართველი ერი იმსახურებს ევროკავშირის ოჯახში ყოფნას. თუმცა, ამის პარალელურად, გუშინ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ევროკავშირის მოქალაქეს, ლინა დოლიძეს, ბრალი წაუყენა, თითქოს მან, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, საარჩევნო უბანზე სცემა ორი „სპორტსმენი ვაჟკაცი“. მისი თქმით, ეს არის „ევროკავშირის მტრობა და სამაგიეროს გადახდა გუშინდელი დღისთვის, ვინაიდან ჩვენ ევროკავშირმა „აგვინთო მწვანე ბარათი“... სამაგიეროს გადახდა, მათ შორის, რაც მოხდა ბიძინა ივანიშვილთან მიმართებით“. საუბრის ბოლოს, მიმართა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას - „გილოცავთ, ბიძინა ივანიშვილი სანქცირებულია“ და დატოვა საკრებულოს სხდომა.

გიორგი ონიანმა განაცხადა, რომ ევროკავშირის წევრობა არის საქართველოს და ქართველი ხალხის დეკლარირებული მიზანი და დღეს, როდესაც ამ საკითხზე საუბარი 2024 წლამდე ალბათ „უტოპიად“ მოგვეჩვენებოდა, მსოფლიოში შექმნილმა რეალობამ, შესაძლებელი გახადა საქართველომ მიიღოს ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მისი თქმით, აღნიშნული უნდა მოხდეს მოლდოვასთან და უკრაინასთან ერთად, რაც კიდევ უფრო აადვილებდა ამ საკითხს, ხელისუფლებას რომ გადაედგა შესაბამისი ნაბიჯები. განაცხადა, რომ ვერ წარმოუდგენია, „ნორმალურ ადამიანს“ უხაროდეს, დღეს, ამ კონტექსტში, ბიძინა ივანიშვილის სანქციებზე საუბარი და არა მხოლოდ ევროპარლამენტარების გარკვეულმა ჯგუფმა, არამედ „ქართული ოცნების“ პოლიტიკური პარტიის ქოლგის ქვეშ მყოფმა სოციალისტებმაც კი ისაუბრეს ამ აუცილებლობაზე და სამწუხაროა, რომ ევროპაში ერთი პარლამენტარიც არ აღმოჩნდა ისეთი, რომელიც აღნიშნულ განცხადებას რაიმე სახით შეეწინააღმდეგებოდა. გიორგი ონიანმა იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნული ხელს არ შეუშლის საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიცემას და დარწმუნებულია, რომ თუ საქართველოსთვის დადგება არჩევანი, კონკრეტული ადამიანის რაიმე სახით დასანქცირება არდასანქცირებასა და ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს შორის, ქართველი ხალხი და, მათ შორის, „ქართული ოცნების“ გუნდის დიდი ნაწილი დადგება „სანუკვარი მიზნის მხარეს“. მისი თქმით, ამ სტატუსის მინიჭებას ხელი შეუშალა და დღეს ამ საკითხის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება განაპირობა იმან, რომ „იყო კორცხელი“, „ჩვენი ქალაქის მერი ძალიან ხშირად „სიგძე-სიგანეებზე“ ელაპარაკებოდა ჟურნალისტებს“ და ზოგადად, ხელისუფლების უმაღლესი პირების დამოკიდებულებამ მედიის და ოპონენტების მიმართ, რაც აღიარა და დაადეკლარირა ევროკავშირმა. საუბრის ბოლოს, კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ დარწმუნებულია, „ქართული ოცნების“ გუნდის უმრავლესობა სწორად გააანალიზებს ჩვენი ქვეყნის მომავალს და იმას, რომ აღნიშნული არ ეხება კონკრეტულ პოლიტიკურ ჯგუფს და დადგება ქართველი ხალხის მხარეს, რომელიც, მიაღწევს იმას, რომ ევროპა მიიღებს ჩვენს ქვეყანას, იქნება ეს ბიძინა ივანიშვილის გარეშე თუ მასთან ერთად.

ვლადიმერ ბოჟაძემ ზვიად კუპრავას განცხადებას, რომ „ევროკავშირმა მოგვცა ვიზა“, უცნაური უწოდა და განაცხადა, რომ „ვიზა კი არ მოგვცა, პირიქით, უვიზო რეჟიმი მოგვცა 2017 წელს, სწორედ ამ ხელისუფლების დამსახურებით“. მისი თქმით, ამ ქვეყნის ისტორიაში, არცერთ ხელისუფლებას, ევროინტეგრაციის პროცესში, არ გაუკეთებია იმდენი, რამდენიც გააკეთა „ქართულმა ოცნებამ“ და ბუნებრივია, მომავალშიც ასე გაგრძელდება. აქვე, მიმართა „ერთიანი

ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს: „ძალიან უცნაურია თქვენი დღევანდელი განცხადებები, როცა გუშინ სუფრები გაშალეთ „ნაციონალურმა მოძრაობამ“, რომ ასეთი რეზოლუცია მიიღო ევროპარლამენტმა. თუმცა, თქვენ, ძალიან კარგად იცით და ბატონ ზვიადს აუხსენით, რომ ბიძინა ივანიშვილს სანქციები არ ადევს და არც დაედება არასოდეს და ეს ოცნება, ოცნებად დაგრჩებათ. ისევე, როგორც ის სიცრუე, რომელიც ჩვენ მოვისმინეთ იმ ტექსტში, რომელიც ალბათ, თქვენთან, აქ, თბილისში, იყო აკრეფილი და გადაუგზავნეთ თქვენს კოლეგებს და პარტნიორებს, რომ სააკაშვილი და გვარამია არიან თავისუფლების ღირსი და ბიძინა ივანიშვილი, თურმე, სანქციების ღირსი ყოფილა და დანარჩენი ის ტექსტები კიდე, რაც იქ წერია. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ, ხელისუფლებაში ყოფნის დროს, ყველაფერი გააკეთეთ, რომ სწორედ ევროკავშირს დაშორებოდა საქართველო და რას აკეთებდით, ამ ჩამონათვალს ახლა აღარ გავაგრძელებ. ძალიან კარგად იცის მედიამაც და მთელმა საქართველომაც, რა გააკეთეთ ამ ქვეყნისთვის ისევე, როგორც ახლა, ათი წელია, ერთადერთი საქმით ხართ დაკავებული, როგორმე ავნოთ საკუთარ ქვეყანას. გუშინდელი რეზოლუცია, იცით თქვენ, რომ მართლა არ არის ის რეზოლუცია, რომელმაც შეიძლება საქართველოს ევროკავშირის გზაზე ხელი შეუშალოს, თუმცა, ეს თქვენი დამსახურებაა და მადლობა იმისათვის, რომ ასე გძულთ საკუთარი ქვეყანა, ასე გძულთ საკუთარი სახელმწიფო და აგრძელებთ ამ ბრძოლას. რა თქმა უნდა, ჩვენ დაველოდებით ევროკომისიის დასკვნას, რა თქმა უნდა, დაველოდებით ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებას და ნებისმიერი გადაწყვეტილების შემთხვევაში, თქვენ უნდა იცოდეთ, რომ „ქართული ოცნება“ ოცდაოთხსაათიან რეჟიმში გააგრძელებს სვლას ევროკავშირისკენ და ნატოსკენ იმიტომ, რომ ეს არის საქართველოს მოსახლეობის 80%-ის, აბსოლუტური უმრავლესობის, დაკვეთა - იმ მოსახლეობის და იმ ამომრჩევლების, რომელმაც, მილიონნახევარმა ამომრჩეველმა, ჯერ კიდევ 2012-ში მიგიჩინათ ადგილი და ათი წელია ხართ იქ, სადაც იქნებით და კიდევ ბევრი ათი წელი იქნებით“.

ნინო კვიტაიშვილმა აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომას ესწრება მედია და მადლობა გადაუხადა მას, განსაკუთრებით კრიტიკულ მედიას და ყველა ღირსეულ ჟურნალისტს იმ ძალისხმევისთვის, რომ მიუხედავად მათზე განხორციელებული ძალიან დიდი წნეხისა და მიუხედავად იმისა, თუ რა სირთულეები და რა გზა გამოიარეს ბოლო ათი წლის განმავლობაში, ღირსეულად ემსახურებიან თავიანთ საქმეს და ევროინტეგრაციის გზაზე თუ ვინმე პოზიტიურ ცვლილებებს ახდენს, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ფაქტორი, ალბათ, არის სწორედ მედია. აქვე, მიმართა კოლეგებს - „რომელ გზას ირჩევთ? რა გვითხრა ჩვენ რეზოლუციამ?“ მისი თქმით, რეზოლუციამ გვითხრა, რომ ადგილი აქვს არაჰუმანურ მოპყრობას მესამე პრეზიდენტის მიმართ და რომ ნიკა გვარამიას მიმართ ხორციელდება აბსოლუტურად უსამართლო დევნა და ამიტომ იმყოფება ის პატიმრობაში; ასევე, გვითხრა, რომ დროა დასანქცირდეს ოლიგარქი ივანიშვილი; გვითხრა, რომ ლექსო ლაშქარავა მოკლეს. თუმცა, ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეებმა ვიცით კიდევ უფრო მეტი, ის, რაც არ ასახულა რეზოლუციაში: პოლიტიკური დევნა და წნეხი, რომელიც ისევ გრძელდება, რისი ცხადი მაგალითებია ლინა დოლიძის ან ბერძენიშვილისა და სამნიძის მაგალითები; ასევე, ვიცით, რომ ამ ქვეყანაში  რეალურად შელახულია ბავშვთა უფლებები და ადამიანის უფლებები; ვიცით, როგორ სიღატაკეში ცხოვრობს ჩვენი მოსახლეობა; ვიცით იმის შესახებ, როგორი ფრთაშესხმული ფუნქციონირებს „ალტ ინფო“ და მისი მოძალადე, პრორუსული, ჯგუფები ჩვენს ქალაქში თუ სხვა ქალაქებში; ასევე, ვიცით, როგორი მზარდია ფემიციდი, მაგრამ ხელისუფლება სერიოზულ ნაბიჯებს ამ მიმართულებით არ დგამს; ვიცით ძალიან ბევრი პრობლემა და ისიც ვიცით, რომ ამ ფონზე, ჩვენი ქვეყნის მიწა-წყლის დატაცება ისე ხდება, თითქოს ჯერ კიდევ ფეოდალიზმის ეპოქაში ვიყოთ და ისე შეუძლია პრემიერს, რომ თავის მეუღლეს, 49 წლით, „საჩუქრად“, იჯარით გადასცეს მიწა, თითქოს ის მისი „უკანა ეზო“ იყოს. ამ პირობებში, ჩვენ, ევროპის მადლიერი უნდა ვიყოთ იმ რეზოლუციის გამო, რომელიც მან მიიღო და იმის მიუხედავად, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, „ჩალის ფასს დაადებს მას და აბსოლუტურად უმნიშვნელოს გახდის თუ არა“, ქართველმა ერმა ნამდვილად იცის ამ რეზოლუციის  ფასი და იბრძოლებს იმისთვის, რომ ის იყოს ევროპული ოჯახის წევრი, იქნება

ეს ბიძინა ივანიშვილის სურვილი თუ არ იქნება, რადგან ამ ქვეყანაში ხალხის ნებას ყოველთვის აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა. საუბრის ბოლოს, გამოეხმაურა ვლადიმერ ბოჟაძის განცხადებას, რომ 2012 წელს, საქართველოს მოსახლეობამ გაისტუმრა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" და განაცხადა, რომ „ესეც ხალხის ნება იყო, მათ გააკეთეს თავისი არჩევანი და ისინი ხედავენ, რომ ახლა, უკვე, სხვა არჩევანის დრო დადგა და მე მწამს იმის, რომ ქართველი ხალხის არჩევანი სწორედ რომ ევროპული გზა არის და ჩვენ ამ გზაზე ნამდვილად ვიდგებით".

გიორგი ტყემალაძე გამოეხმაურა ნინო კვიტაიშვილის მიერ კრიტიკულ მედიასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და მიმართა მას - „კრიტიკული მედია ნამდვილად ძალიან მნიშვნელოვანია, რომელიც არის, საბედნიეროდ, ჩვენს ქვეყანაში და რომელიც არ იყო თქვენს პერიოდში, სამწუხაროდ".

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ სხვა ოპოზიციონერი კოლეგებისგან განსხვავებით, 2012 წელს, ხმა მისცა „ქართულ ოცნებას", არა იმიტომ, რომ ის იყო მაშინ ყველაზე კარგი ან იდეალური და საუკეთესო პარტია, არამედ, იმიტომ, რომ 21 წლის ასაკში ჰქონდა უსამართლობის საშინელი განცდა, რომელიც ჩამოყალიბდა იმ რეჟიმის და რეპრესიული მანქანის გამო, რომელიც მონაწილეობას იღებდა ადამიანების გაუბედურებაში. ივანიშვილის მხრიდან „გასაოცარი დემოკრატიის" დაპირებების მიუხედავად, ტექტონური ძვრების მოლოდინი არ ჰქონია, მაგრამ ჰქონდა იმედი, რომ სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, სასამართლოს, მოსმენების, ელიტური კორუფციის, ეკონომიკის მიმართულებებით იქნებოდა უკეთესობა. თუმცა, მივიღეთ აბსოლუტურად განსხვავებული და სრულიად საპირისპირო შედეგი - „ნაციონალური მოძრაობის" ყველაზე ამაზრზენი ანასხლეტების პორტირება ქართულ ოცნებაში" - მოხდა მურუსიძის და ჩინჩალაძის აღზევება სასამართლო სისტემაში, ტოტალური მოსმენები იმ დონეზე მივიღეთ, რომ თურმე სასულიერო პირებსაც უსმენენ და აღსარებებში იქექება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, კალაძის, ღარიბაშვილის და სხვათა დამსახურებით, ელიტური კორუფცია აყვავებულია და მივიღეთ სახელმწიფოსთან შეზრდილი კრიმინალი, რისი გამომხატველი არის ქალაქის ცენტრში დღეგამოშვებით სისხლიანი გარჩევები, სროლა და „ათასი უბედურება", რომელსაც ჩვენი საზოგადოება უყურებს. მისი თქმით, ეს არ არის ივანიშვილის ყველაზე დიდი დანაშაული, რომელიც მან ჩაიდინა ქართველი საზოგადოების წინაშე და მისი ყველაზე დიდი დანაშაული არის ის, რომ ამ ქმედებების ერთობლიობით, საქართველო მოწყვიტა დასავლურ სამყაროს, რაც კიდევ ერთხელ და ყველაზე მძაფრად გამოჩნდა რუსეთ-უკრაინის ომის მაგალითზე, როდესაც აბსოლუტურად არაპრაგმატული და არაქართული პოზიცია დაიკავა საქართველოს მთავრობამ უკრაინასთან მიმართებაში. გუშინდელი დღე და ევროკავშირის მხრიდან პოლიტიკურ დღის წესრიგში სანქციების შემოტანა, იყო სწორედ ამ საკითხების მიმართ გამოხმაურება, რადგან საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატობას მხარი დაუჭირა ევროპარლამენტმა, მაგრამ იქვე აღიარა, რომ ბიძინა ივანიშვილი არის ყველაზე დიდი დაბრკოლება ევროპაში ინტეგრაციის გზაზე და როდესაც ჩავარდა ოპოზიციაზე ისრების გადმოტანის პროპაგანდის მცდელობა, დაიწყო „ამაზრზენი და ამორალური" თავდასხმა ევროპაზე და ჩვენს ევროპულ მომავალზე. საბა ბუაძემ, ამ პროპაგანდის საპასუხოდ, განაცხადა, რომ ივანიშვილმა თვითონ ჩააყენა საკუთარი თავი საქართველოს და ევროკავშირს შორის და როდესაც ქართველ ხალხს მკაფიოდ და კიდევ ერთხელ დაუდგება არჩევანი ევროკავშირს და ივანიშვილს შორის, ქართველი ხალხი აუცილებლად აირჩევს ევროპას, განვითარებას და კეთილდღეობას. საუბრის ბოლოს, საბა ბუაძემ მიმართა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და არა მხოლოდ: „ყველას, ვისაც ამ დარბაზშიც და ამ დარბაზის მიღმაც ესმის, მინდა გთხოვოთ, რომ დადგეთ ევროპის, საკუთარი თავის და საკუთარი მომავლის გვერდით და არა ივანიშვილის გვერდით, რომელიც არის ჩვენი ქვეყნის განვითარების მთავარი მუხრუჭი დღეს".

ზურაბ აბაშიძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით განსახილველად წარმოდგენილია საკმაოდ აქტუალური საკითხები, თუმცა ძალიან რთულია ოპონენტების საუბრის მოსმენა იმ თემებზე, რომლებიც, ერთი მხრივ, აცდენილია რეალობას და მეორე

მხრივ, აღვსილია ცინიზმით და თვალთმაქცობით, რადგან ვისმენთ იმას, თუ როგორ განიცდიან ამ რეზოლუციას და პარალელურად, აშკარად იგრძნობა მათი ბედნიერება და სიხარული ამ რეზოლუციასთან დაკავშირებით. თუმცა, ამ ყველაფერს უნდა შევხედოთ ისე, თუ როგორ უყურებს ამას საზოგადოება. მისი თქმით, საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც წარმოადგენს ოპოზიცია, შეიძლება უხარია რეზოლუციის შინაარსი, მაგრამ უდიდესი ნაწილი, პირიქით, ძალიან ნეგატიურად არის განწყობილი, რადგან, რა თქმა უნდა, არ ახარებს აღნიშნული. ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, რომ სწორედ ოპოზიციის წარმომადგენლების დამსახურებაა ის, რომ ესეთი რეზოლუცია იქნა მიღებული. იმ ადამიანებს, რომლებმაც ამას მხარი დაუჭირეს ევროპარლამენტში, აინტერესებთ საქართველოში არსებული პოლარიზაციის განმუხტვა, თუმცა ესეთი რეზოლუციები და მიდგომა არა თუ ხელს უწყობს ამას, არამედ, პირიქით, უფრო აღრმავებს დაპირისპირებას საზოგადოებაში. მისი თქმით, ოპოზიციის წარმომადგენლებს არ უნდათ არც ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღება და არც ის უნდათ, რომ ქვეყანაში იყოს მშვიდობა. ზურაბ აბაშიძემ ისაუბრა ოპოზიციის სურვილზე, რომ ნიკა გვარამია შეიწყალოს პრეზიდენტმა და დაინტერესდა, როგორ წარმოუდგენიათ მისი შეწყალება იმ ფონზე, როდესაც ყველას გვახსოვს, თუ როგორ მოიხსენიებდა ის სალომე ზურაბიშვილს. ასევე, განაცხადა, რომ ოპოზიცია საუბრობს მედიის თავისუფლებაზე და მიმართა მათ: „მედია არ არის თავისუფალი საქართველოში?... ჩართეთ ტელევიზორი და უყურეთ". საუბრის ბოლოს, ზურაბ აბაშიძემ განაცხადა: „ჩვენ გავაგრძელებთ ქვეყნის აღმშენებლობას და ამაში ხელს ვერავინ შეგვიშლის. საქართველოში, ხელისუფლებას ევროპარლამენტარები არ ირჩევენ, საქართველოში ხელისუფლებას ირჩევს საზოგადოება, ქართველი ხალხი და საქართველოს მოსახლეობა... გაგრძელდება ქვეყნის აღმშენებლობა, ევროკავშირშიც შევალთ, ნატოშიც შევალთ".

ანა გოგოლაძე გამოეხმაურა ზურაბ აბაშიძის განცხადებას, რომ თითქოს ოპოზიციის რიგებიდან ვინმეს უხარია ევროპარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუცია და მიმართა მას - „არა, ბატონო ზურაბ, ჩვენც ამ ქვეყნის მოქალაქეები ვართ, ჩვენც ამ ქვეყანაში ვაპირებთ ცხოვრებას და ჩვენც გვინდა ევროპული მომავალი. შესაბამისად, თქვენი ბრალდება სრულიად უსაფუძვლოა და შეურაცხმყოფელიც". მისი თქმით, ყველა იაზრებს იმას, რომ ეს თვე არის ისტორიული მომენტი საქართველოს ცხოვრებაში იმ თვალსაზრისით, რომ მომავალ ორ კვირაში გადაწყდება საქართველოს სამომავლო განვითარების პერსპექტივა - ვიქნებით ევროკავშირის ნაწილი, რაც არის ისტორიული არჩევანი და რისთვისაც ძალიან დიდი ფასი აქვს გადახდილი ქართველ ხალხს თუ ძალიან ბევრი წლით აღმოვჩნდებით რუსულ ორბიტაზე. ანა გოგოლაძემ, იმ კოლეგების მისამართით, რომლებიც რეზოლუციის ძირითადი ტექსტის ნარატივების არსებობას აბრალებენ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას", განაცხადა, რომ ეს რეზოლუცია ასახავს არა რომელიმე კონკრეტული ინსტიტუტის ან პოლიტიკოსის შეხედულებებს, არამედ, ეს არის მთლიანად ევროკავშირის დამოკიდებულება და შეფასება, რომელიც ძალიან კრიტიკული და მძიმეა საქართველოში არსებული მდგომარეობის მიმართ. აქვე, გამოეხმაურა და დაეთანხმა ვლადიმერ ბოჟაძის განცხადებას, რომ ამ ქვეყანაში სრული უმრავლესობის არჩევანი ყოველთვის იყო, არის და იქნება ევროპა, ჩვენი აზროვნება ყოველთვის მიმართული იყო დასავლეთისკენ, რაც ასევე, დეკლარირებულია ჩვენს მოქმედ კონსტიტუციაში და „ქართული ოცნებისთვისაც", მინიმუმ, ოფიციალური განცხადებების დონეზე, გუშინდელ დღემდე, არჩევანი იყო ევროკავშირი, მაგრამ გუშინ, „ქართული ოცნების" გუნდის ლიდერის, ბატონი კობახიძისგან მოვისმინეთ სრულიად ანტისახელმწიფოებრივი განცხადება, რაც გამოიხატა იმაში, რომ მას შემდეგ, რაც ევროკავშირისთვის ნათელი გახდა ჩვენს ქვეყანაში არსებული ძალიან მძიმე მდგომარეობა და არასწორად განვითარების ძირითადი კურსი, შეიძლება ითქვას, რომ მან „ევროკავშირი თითქმის მტრად გამოაცხადა, დაიწყო მისი დისკრედიტაცია და სრული უნდობლობა გამოუცხადა". ანა გოგოლაძემ იმედი გამოთქვა, რომ „ქართული ოცნების" წარმომადგენლების დიდი ნაწილი, ღიად თუ არა, ფარულად მაინც, ემიჯნება მის შეფასებას და დამოკიდებულებას ევროკავშირის მიმართ. განაცხადა, რომ სახელმწიფოებრივი აზროვნება არის სახელმწიფო ინტერესების ყველაზე მაღლა და წინ დაყენება, ხოლო გუშინ ირაკლი კობახიძემ, სახელმწიფო ინტერესებზე წინ

დააყენა ბატონი ივანიშვილის ინტერესები, როდესაც მისი დასანქცირებით შეშინებულმა და მისი რეპუტაციის გადარჩენით მოტივირებულმა, შეიძლება ითქვას, რომ სრული უნდობლობა გამოუცხადა ევროკავშირს. ანა გოგოლაძემ იმედი გამოთქვა, რომ ევროკავშირისთვის გადაწყვეტილების მიღების საფუძველი გახდება არა ქვეყანაში არსებული ძალიან ბევრი გამოწვევა, მძიმე მდგომარეობა, გუშინდელი განცხადება და „ქართული ოცნების" პოზიცია, არამედ ქართველი ხალხის ნება-სურვილი და მათ მიერ გაღებული მსხვერპლი, ოპოზიციური პარტიების მხრიდან გამოხატული პოლიტიკური ნება და არასამთავრობო სექტორის ძალიან დიდი შრომა, რომ ამ ქვეყანაში წლების განმავლობაში შეექმნათ დემოკრატიული სისტემა, რაც ევროპული ფასეულობაა და იმედოვნებს, რომ ორ კვირაში ვიზეიმებთ ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსის მიღებას.

ოთარ გრიგოლიამ აღნიშნა, რომ ეთანხმება ზურაბ აბაშიძეს და განაცხადა: „თვალთმაქცობა არ არის საჭირო". მისი თქმით, ყველა ხედავს ოპოზიციონერების განწყობას და ეს ყველაფერი კარგად ჩანს მათი დამოკიდებულებით ამ ქვეყანასთან მიმართებაში. მისი თქმით, რეზოლუციაში არსებული ფაქტობრივი უზუსტობები კარგად გვანახებს იმ პროცესს, რაც თან სდევდა ამ რეზოლუციას და ვხედავთ, თუ როგორ იქნა ის შედგენილი, თუმცა, არის რაღაც საკითხები, რომლებიც ფაქტად უნდა მივიღოთ, რადგან არ არსებობს სხვა ალტერნატივა. ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ ჩვენ კარგად დავინახეთ, რა სპეკულაციის ნაწილი იყო ეს დოკუმენტი და ამიტომ ამაზე დიდ ყურადღებას არ გაამახვილებს, თუმცა, აუცილებლად უნდა ითქვას ის, რომ „ჩვენმა ხალხმა ძალიან კარგად იცის, ვინ არის მიხეილ სააკაშვილი და რა ბრალი მიუძღვის მას ქვეყნის წინაშე; ვინ არის ნიკა გვარამია და რა ბრალი მიუძღვის მას ქვეყნის წინაშე; ყველამ კარგად იცის ვინ არის ბიძინა ივანიშვილი; ძალიან კარგად იცის საქართველოს მოსახლეობამ, რომ კეზერაშვილი არ არის დევნილი მედიის მფლობელი და ის არის ჩვეულებრივი კრიმინალი, რომელმაც ასობით მილიონი დოლარის სარგებელი ნახა ამ ქვეყანაში". მისი თქმით, ევროინტეგრაციის გზაზე ხელს ვერაფერი შეგვიშლის - ვერც ოპოზიციის მცდელობები, რომ ამ პროცესში ეს წარმატება არ მიეწეროს „ქართულ ოცნებას" და ვერც ცალკეული ევროპარლამენტარის დამოკიდებულება საქართველოსთან მიმართებაში. ფიქრობს, რომ ევროპა არის რაციონალური, მიიღებს გონივრულ გადაწყვეტილებას და აჩვენებს რუსეთს, რომ ისეთი ღირსეული და მეომარი ქვეყნები, როგორებიც საქართველო, უკრაინა და მოლდოვა არიან, აუცილებლად უნდა გახდნენ ევროპული ოჯახის წევრები. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ პოლიტიკურ ჯგუფს, რომელიც ცდილობს პოლიტიკური ლეგიტიმაცია მოიპოვოს ჩვენი ხალხის გვერდის ავლით და ევროპარლამენტში ეძებოს ლეგიტიმაცია, არაფერი გამოუვა და მიმართა ოპოზიციონერ კოლეგებს: „ქართველმა ხალხმა თქვენ ხმა არ მოგცათ და არც მომავალში მოგცემთ და ის სპეკულაციური რეზოლუციები, რომლებიც, დავუშვათ, შეიძლება დაიდოს, თქვენ არ შეგმატებთ აქ არც ერთ მანდატს".

ცოტნე კოზერიძის თქმით, ისეთი რიტორიკა ჩამოყალიბდა, თითქოს უმრავლესობა ოპოზიციას ამუნათებს, რეზოლუცია „მოგეწონათო" და განაცხადა, რომ მას მოეწონა, რადგან ხაზი გაუსვეს, რომ დასავლეთის ნაწილი გავხდებით, რომ ხალხი, ქვეყანა ვიმსახურებთ და გვყავს მთავრობა - ერთპიროვნული მმართველობა, ცუდი სასამართლო, რომელიც არ მოსწონთ და გაუგებარია რატომ არ უნდა სიამოვნებდეს, რომ იმას, რასაც თავად ხედავს და ამბობს, ამბობდნენ მისი პარტნიორებიც და გაუგებარია, ამის რატომ უნდა შეგვრცხვეს. ისაუბრა ევროკავშირის წევრობაზე და მიმართა უმრავლესობას: „მეგობრებო, პარლამენტის წინ ხომ გადიხართ ხოლმე, იქ ხომ ამჩნევთ, მაგალითად ჯვარს, რომელიც დაარჭეს იქ მოძალადე ჯგუფებმა სიმბოლოდ. რელიგია შემოიმოსეს, ჟურნალისტები ცემეს. მე რომ მივიდე იქ და სტიკერი დავაკრა, დამაჯარიმებთ, იქვე პოლიცია დამაკავებს. იმას ვერ ეხებით პოლიტიკურად. რატომ? იმიტომ რომ პოპულისტები ხართ. იცით, რომ არ გინდათ მაგ ხალხს აწყენინოთ, ნეოფაშისტებს. ეს სიმბოლო სანამ იქ დგას, იქამდე გვეცოდინება, რომ ამ ქვეყანაში დაკანონდა ადამიანებზე ძალადობა. თუ ისეთი ჯგუფი ძალადობს, რომლის ხმებიც თქვენ გაქვთ, იქამდე ესე მოიქცევით და ეს არის პრობლემა, ეს ვერ გაგვხდის ჩვენ ევროპად". მისი თქმით, უმრავლესობის წევრები, მთელი თვის განმავლობაში საუბრობენ, რომ ოპოზიციას უნდა ომი და თავად არიან „მშვიდობის აპოლოგეტები" მაშინ, როდესაც კარგად იციან, რომ

ვისაც ერთი საყვარელი ადამიანი მაინც ჰყავს ამ ქვეყანაში, ომი არავის უნდა, თუმცა, ესეც მათი „პოპულიზმის ნაწილია“, რადგან იციან, რომ აქ ცხოვრობს ხალხი, რომლებსაც ომის ტრავმა აქვს. ცოტნე კობერიძემ, კიდევ ერთხელ მიმართა უმრავლესობის წევრებს: „პოპულისტობთ და მშვიდობაზე საუბრობთ, თითქოს მართლა მშვიდობა გვქონდეს. რა მშვიდობაზე საუბრობთ? რადგან თბილისში ბომბი არ მეცემა, მშვიდობაა? თუ ოკუპაციის ხაზზე რომ ადამიანები ცხოვრობენ, ყოველ დღე რომ საკუთრება ეკარგებათ, საზღვარი რომ გადმოდის, იმათ მშვიდობას არ უნდა დაცვა? თუ იმათ არ აქვთ ომი ყოველ დღე? თუ ჩვენ, აქ, პრივილეგირებული მოქალაქეები ვართ და მე რომ მუხიანში მშვიდად ვცხოვრობ, ვიგრძნო, რომ ამ ქვეყანაში ომი არ არის? ამ ქვეყანაში, ყოველ დღე ომია და ყველას გვესმის, რომ ჩვენ თუ არ ვიქნებით თავმოყვარე ქვეყანა, ჩვენ თუ არ დავიცავით ჩვენი პრინციპები, არც დასავლეთს ენდომება და არც „ეს ენის მოჩლექვა“ გვიშველის. ეს არის მთავარი პრობლემა და დარწმუნებული ვარ, თქვენც კარგად გესმით, უბრალოდ, ეხლა, მმართველობის მესამე ვადა გაქვთ, ებღაუჭებით ხელისუფლებას, ლეგიტიმაციას კარგავთ, „იმედი“ ემსგავსება და გადაასწრო „რუსთავი 2“-ს რაც იყო, „პოსტ ტვ“-მ გადაასწრო რაც „რეალ ტვ“ იყო და ისეა შეზღუდული მედია, როგორც აქამდე იყო, წინა ხელისუფლების დროს და მოდიხართ მერე და მე მესაუბრებით, რომ აი, წინა ხომ ჩემზე უარესი იყო. ამ დროს, ხალხი გავიზარდეთ, აღარ გვაინტერესებს წინა როგორი იყო, თქვენ ეხლა როგორები ხართ, ეს მაღელვებს იმიტომ, რომ დიდი შანსია, თქვენს გამო ვერ გავხდეთ ცივილიზაციის ნაწილი, მოდერნის ნაწილი და დავრჩე ქვის ხანაში, სადაც ვიღაცებმა შეიძლება რელიგიის სახელით, ქუჩაში გირტყან და ქალაქის მერი დაიმალოს დღეების განმავლობაში... ამხელა ლეგიტიმაციის მქონე კაცმა, ერთი პოლიტიკური განცხადება არ გააკეთა, როცა მის ქალაქში ხალხს ურტყავდნენ. ერთი წელი გავიდა და ეს ამბავი დაგვავიწყდა, მაგრამ იქამდე არ დაგვავიწყდება, სანამ ის სიმბოლო იქ იქნება და სანამ თქვენ ხელს შეგნებულად ვერ მოკიდებთ მას“.

გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ დღეს განვიხილავთ საქართველოს ევროატლანტიკურ კურსს და ევროპულ ოჯახში ჩვენს ინტეგრაციას იმ ქალაქში, რომელიც წლების და ათწლეულების განმავლობაში, ყოველთვის იყო ტოლერანტობის, ერთმანეთის მიმართ პატივისცემის და სოლიდარობის სიმბოლო არა მხოლოდ ამ რეგიონში, არამედ მთლიანად კონტინენტზე. ამ ყველაფერს განვიხილავთ იმ პერიოდში, როდესაც ევროპის ყველაზე დიდ კონტინენტს უტევს რუსული აგრესია, ათასობით და მილიონობით ადამიანი კარგავს საკუთარ სახლს, კლავენ ბავშვებს, მოხუცებს, ქალებს და მიწასთან ასწორებენ ცივილიზაციის ცენტრ ქალაქებს. საქართველოს მხრიდან ამ იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლა არაერთხელ ყოფილა წარმოებული და ჩვენ გვახსოვს 9 აპრილი, რომელიც მოხდა ჩვენი დედაქალაქის ქუჩებში, გვახსოვს და ვიცით აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონში ეთნიკური წმენდა და ძალიან კარგად გვახსოვს 2008 წლის ომი. ეს ეპიზოდები და კიდევ ძალიან ბევრი ეპიზოდი ჩვენი ისტორიიდან, ალბათ, საკმარისია იმისთვის, რომ ღიად ვთქვათ: „ჩვენმა ქვეყანამ გამოიარა არაერთი ქარტეხილი იმისთვის, რომ ჩვენს ევროპელ მეგობრებს კიდევ ერთხელ დაენახათ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოს როლი ამ რეგიონში და რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოს როლი მსოფლიოში“. მისი თქმით, ყველაფერი ამის გათვალისწინებით, „ქართული ოცნების“ პირობებში, ჩვენ გვაქვს ევროპაში უვიზო მიმოსვლა და თავისუფალი ვაჭრობა; ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება; ნატოსთან თავსებადობა და ამერიკის შეერთებული შტატებიდან ორპარტიული მხარდაჭერა, რომელიც არც თუ ისე ბევრ ქვეყანას აქვს ჩვენს რეგიონში; საქართველოში აქტიურად გრძელდება რეფორმები და ეკონომიკური განვითარება, განსაკუთრებით „კოვიდის“ შემდეგ; ჩვენი ევროპული ინტეგრაცია, ყველა მაჩვენებლით და პარამეტრით გაცილებით უკეთესია, ვიდრე ეს შეიძლება იყოს იმ ქვეყნის, რომელიც არის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოპოვების ეტაპზე. სწორედ ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ჩვენ მზად ვართ იმედიანად განვეწყოთ, რომ ევროკავშირი გადმოდგამს ნაბიჯს არა მხოლოდ ჩვენსკენ, არამედ ჩვენი რეგიონის და ევროპის კონტინენტის მშვიდობიანი განვითარებისკენ, რომელშიც ძალიან დიდი როლი აქვს საქართველოს. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ ჩვენ ყველაზე ახლოს ვართ ევროპულ ინტეგრაციასთან, ჩვენი მთავრობის პირობებში, ვიდრე ოდესმე ვყოფილვართ და ამ ფონზე,

ნამდვილად არ რჩება ადგილი დესტრუქციისთვის, არეულობისა და „ომში ჩათრევის ყველა უსუსური მცდელობისთვის“ და დარწმუნებულია, რომ მოგვენიჭება ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსი, რაც ნამდვილად ეკუთვნის საქართველოს.

დავით ფარცვანიამ განაცხადა, რომ ჩვენ უნდა გავხდეთ ევროპული ოჯახის წევრები და დარწმუნებულია, რომ დარბაზში მყოფ თითოეულ მის კოლეგას სურს, საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი. თუმცა, ძალიან საშიში და მტკივნეული ფაქტი იყო ის, რაც გუშინ მოვისმინეთ ევროპარლამენტის ტრიბუნებიდან. აღნიშნა, რომ ევროპარლამენტის გვერდზე „ჰედლაინად გამოტანილი“ იყო ადამიანის უფლებების დაღრვევები ნიკარაგუაში, ჩინეთსა და საქართველოში და განაცხადა, რომ ამ კუთხით საქართველოს ყოფნა ნიკარაგუის გვერდით, მისთვის, როგორც საქართველოს მოქალაქისთვის, ძალიან მძიმე სანახავი იყო. მისი თქმით, ფაქტობრივად, „ხელში გვეჭირა კანდიდატის სტატუსი“, თუმცა, სამწუხაროდ, მოვახერხეთ ერთი ის, რომ ე.წ. „ევროპული მაგნიტსკის სიის“ მოქმედების საფრთხის ქვეშ დადგა ერთი პირი და მეორე, კიდევ უფრო სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ევროპარლამენტიდან გაისმა მძიმე პოლიტიკური გზავნილი წევრი სახელმწიფოებისთვის. აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა: „ხომ არ არის ეს, მათ შორის, იმის ბრალი, რომ მთელი პოლიტიკური სპექტრის მთელი პოლიტიკური რესურსი მოხმარდა ერეკლე მეფის ავკარგიანობის გარჩევას და ისტორიის გაკვეთილებს“. საუბრის ბოლოს, იმედი გამოთქვა, რომ გუშინდელი ფაქტი იქნება გამოფხიზლების აქტი, ამ ორ კვირის განმავლობაში მაინც ერთმანეთს ტალახს არ ვესვრით და თითოეული პარტია ჩვენს რესურსს და ყველა ტრიბუნას გამოვიყენებთ იმისთვის, რომ მოვითხოვოთ საქართველოს გაწევრიანება ევროკავშირში.

ირაკლი ნადირაძე გამოეხმაურა ვლადიმერ ბოჟაძის განცხადებას, თითქოს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას სუფრა გაუშლია, რომელსაც „გასაოცარი“ უწოდა და მიმართა მას: „ბატონო ლადო, ყანწების და ღვინის დალევის რა მოგახსენოთ, მაგრამ გუშინ, „ქართულ ოცნებაში“ რამდენი დამამშვიდებელიც დაილია, იმდენი მილიონი საქართველოში ყველა ოჯახს“. მისი თქმით, რეზოლუცია შედგება ორი ნაწილისგან, რომელთაგან ერთი ნამდვილად სასიხარულოა – რომ ამ ყველაფრის მიუხედავად, ევროპა მხარს უჭერს საქართველოს მოსახლეობას და ამბობს, რომ საქართველო უნდა გახდეს ევროპის ნაწილი და წევრი, ხოლო მეორე ნაწილი არის ბიძინა ივანიშვილის რეზოლუცია, რაშიც არაფერია სასიხარულო, რადგან ტრაგედიაა ქვეყნის იმ დონეზე დაცემა, რომ საქართველოს ისტორიაში პირველად, ყოფილ პრემიერმინისტრს აყენებენ სანქციების სიაში, რაც, მისი თქმით, ფაქტობრივად „ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური და ფინანსური უბედურების მხოლოდ დასაწყისია“. ასევე, გამოეხმაურა ზურაბ აზაშიძის „რიტორიკულ კითხვას“, რომელიც შეეხებოდა მედიის თავისუფლებას და კითხვით მიმართა უმრავლესობის წევრებს: „რა გააკეთა „ქართულმა ოცნებამ“ იმისთვის, რომ ქვეყანაში თავისუფალი მედია იყოს? თქვენი დამსახურებაა ეს ყველაფერი? „ქართული ოცნება“ არ ხართ, შემთხვევით, ის ძალა, რომელმაც ყველა მედია მენეჯერზე საქმე აღმარით? „ფორმულა“ იქნებოდა ეს, იქნებოდა „ტვ პირველი“, იქნებოდა „მთავარი“ და „მთავარის“ გენერალური დირექტორი საერთოდ დაჭერილი გყავთ“. მისი თქმით, ლექსო ლაშქარავას გარდაცვალების მიზეზი იყო სწორედ ის, რაც მასთან დაკავშირებით მოაწყო „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ და არა თუ რამე გააკეთა მისი ჯანმრთელობის და სიცოცხლის დასაცავად და მისი კოლეგების დასაცავად, არამედ, პირიქით, „ქართული ოცნების“ პრემიერმინისტრი იყო ის ადამიანი, ვინც მაშინ „ის უბედური დღე და ძალადობა წაახალისა“. განაცხადა, რომ სწორედ ამიტომ, მედიას ემღვნება ფაქტობრივად ნახევარი რეზოლუცია და მიმართა უმრავლესობის წევრებს: „დიახ, ამიტომ ჩაგიწერეს, რომ ნიკა გვარამია არის პოლიტიკური პატიმარი და უნდა იყოს გათავისუფლებული. დიახ, ამიტომ გითხრეს, რომ პოლიტიკური სასამართლოა ქვეყანაში და სასამართლო არ არსებობს. დიახ, ამიტომ გითხრეს, რომ მიხეილ სააკაშვილი არის გადასაყვანი ქვეყნის გარეთ სამკურნალოდ“. ირაკლი ნადირაძემ აღნიშნა, რომ 20 ივნისს, სამოქალაქო აქტივისტებმა დააანონსეს დიდი აქცია, სადაც ქართველი ხალხი გააგონებს ევროპას, რომ „ჩვენ გვინდა ევროპა“ და დაინტერესდა, ამ აქციაზე იქნება თუ არა „ქართული ოცნების“ ერთი წევრი მაინც. აქვე, განაცხადა, რომ თუ „ქართული ოცნება“ დააანონსებს, რომ აპირებს ასი ათასი ადამიანის

შეკრებას, მოთხოვნით რომ „გვინდა ევროპა", თავად მივა იმ აქციაზე. საუბრის ბოლოს აღნიშნა, რომ მოსახლეობა, რომელიც გვისმენს, ფიქრობს, რომ ოპოზიციასაც და ხელისუფლებასაც უნდა ევროპა, თუმცა, ეს უნდა დავამტკიცოთ საქმით და განაცხადა: „საქმით, „ქართულ ოცნებას" უნდა რუსეთი".

გურამ ოქროპირიძემ განაცხადა, რომ ქართველმა ხალხმა ძალიან დიდი ხნის წინ აირჩია დასავლური ცივილიზაცია და ძალიან დიდი ფასი გადაიხადა ამისთვის. მისი თქმით, საქართველოში საკმარისად იქნებიან ადამიანები, რომლებსაც ექნებათ სახელმწიფოებრივი აზროვნება და საბოლოო ჯამში, ყველა ის გამოწვევა და პრობლემა რომელიც დღეს შეიძლება დადგეს ჩვენს წინაშე, გადაჭრილი იქნება. მისი თქმით, აღნიშნული განსაკუთრებით ეხება დესტრუქციულ პოლიტიკოსებს, რადგან, სამწუხაროდ, ქართული პოლიტიკა დაიცალა ღირებულებების და ფასეულობებისგან და გაჩნდა ძალიან ბევრი დესტრუქციული პოლიტიკური ჯგუფი. განაცხადა, რომ მოისმინა „მაღალი მორალური „პასაჟებით" გაჯერებული ცოტა უცნაური შეფასებები" და მიმართა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრებს: „ერთი დიდი ლაფსუსი გაქვთ - ის, რასაც თქვენ თეორიულად საუბრობთ, პრაქტიკაში გქონდათ უკვე ყველაფერთან შეხება, სახელმწიფოს მართავდით და შემახსენეთ, რომელი დასავლური ღირებულების ერთგული იყავით. თუ გინდათ, მე შეგახსენებთ - ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების? ჩამოვთვალოთ ის ადამიანები, ვინც სისტემის მსხვერპლი აღმოჩნდნენ? მედიის და სიტყვის თავისუფლების? ჩამოგითვალოთ მედიები, სადაც სპეცრაზმი შევარდა და დაარბია? მთელი პრობლემა რა არის იცით? მთელი თქვენი პოლიტიკური ელიტა ამ ყველაფერს ამართლებდა მხოლოდ იმით, რომ ამ ტელევიზიებიდან განსხვავებული აზრი ისმოდა. საკუთრების უფლების ერთგული იყავით? ხელისუფლება დღემდე იხდის ფასს ბიუჯეტიდან იმისთვის, რაც წაართვეს კონკრეტულ მოქალაქეებს". გურამ ოქროპირიძემ აღნიშნა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებისგან ხშირად მოუსმენია რომ რაღაცები არ მოსწონთ და ეს ძალიან კარგია, რადგან უნდა იკამათონ იმაზე რაც არ მოსწონთ და უნდა შეთანხმდნენ. თუმცა, მისი თქმით, აქაც „ერთი უცნაური ამბავია" - მაგალითად ბიუჯეტი, რომელსაც ხაზი გადაუსვეს და თქვეს, რომ არაფრად ვარგოდა, თუმცა არსად ჩანს მათ მიერ შემუშავებული ალტერნატიული ბიუჯეტი, რომელიც უპასუხებს დედაქალაქის მოსახლეობის გამოწვევებს; არასდროს მოსწონდათ დედაქალაქის განვითარების ხედვა, რომელიც აქვს ხელისუფლებას, თუმცა არსად ჩანს მათი ხედვები ამ მიმართულებით. მისი თქმით, აქედან ჩანს, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები გულწრფელები არ არიან არც ქვეყნის სიყვარულში, არც ქვეყნის განვითარების სურვილში, მათთვის ერთადერთი იდეაფიქსი არის ძალაუფლება და ფინანსები და ჩამოთვლილი მიზეზების გამო, ყველასთვის გასაგებია მათი კორელაცია რევოლუციურ სცენარებთან ან სცენარისტებთან, რაც, მათ არაფერს მოუტანს, სახელმწიფო ინტერესების დაზიანების გარდა. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ ის დიდი გზა, რომელიც დაწყებულია, დასრულდება ისე, როგორც საჭიროა და ამ ქვეყნის მომავალი იქნება ევროპაში და თუ სახელმწიფო ინტერესებს დავაყენებთ პირად და პარტიულ ინტერესებზე მაღლა, უკეთესი იქნება ჩვენთვისაც და ჩვენი მომავალი თაობებისთვისაც.

მამუკა გუგეშაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს მოსახლეობის 81%-ს, განურჩევლად პარტიული კუთვნილებისა, უნდა ევროკავშირში ყოფნა და ამაზე არ უნდა ვიკამათოთ და ზოგადად, ფაქტებზე არ უნდა ვიკამათოთ, ხოლო ფაქტი არის ის, რომ მიხეილ სააკაშვილს, პატივისცემის ნიშნად, ცარიელი სკამი დაუთმეს, ხოლო ბიძინა ივანიშვილისთვის სანქციების დადებაზე მოუწოდეს ევროსაბჭოს. მისი თქმით, უნდა ვიკამათოთ საქმეზე და იმაზე, თუ ვინ მოკლა საკრებულოს წევრი, ნუგზარ ფუტკარაძე, ეს ხომ შემთხვევით არ მოხდა? რატომ არ არის დღემდე გამოძიებული ლექსო ლაშქარავას სიკვდილის მიზეზი? თუმცა, რომც ჩავთვალოთ, რომ ის გარდაიცვალა არა ცემის შედეგად, როგორც ამას „ქართული ოცნების" ლიდერები ამტკიცებდნენ, ფაქტია, რომ ცემეს. რა უფლება ჰქონდათ რომ ცემეს? რატომ არ არიან დასჯილი დამნაშავეები? ისაუბრა, „ალტ ინფოზე", რომელიც მისი თქმით, არის რუსული ძალა და განაცხადა, რომ დიდ პატივს სცემს საკრებულოს თითოეულ წევრს, მაგრამ „ალტ ინფოს" მომხრე მისთვის ყოვლად მიუღებელია, ვინც არ უნდა იყოს ის. ასევე, ისაუბრა

მედიაზე და განაცხადა, რომ ნიკა გვარამია პუტინის მომხრე რომ ყოფილიყო, არავინ დაიჭერდა და დაიჭირეს იმიტომ, რომ იბრძოდა თავისუფლებისთვის, ევროპაში გაწევრიანებისთვის, ქართველი ხალხის ბედნიერებისთვის, იმისთვის, რომ თბილისში აღარ გვყოლოდა 600000 სოციალურად დაუცველი ადამიანი და 300000 ადამიანი, რომელსაც ვადაგადაცილებული აქვს კრედიტი. მისი თქმით, ხალხის სახელით საუბრის უფლება არც უმრავლესობას და არც ოპოზიციას აქვს, რადგან ხალხი თავად წყვეტს ყველაფერს. საუბრის ბოლოს, მიმართა „ქართული ოცნების" წარმომადგენლებს: „20 ივნისს თუ არ გამოხვალთ, თქვენ დააორგანიზეთ და ჩვენ გამოვალთ, ჩვენ არ გვრცხვენია. ჩვენ გვერდზე თუ გრცხვენიათ დადგომა, მოდით და ხალხი გამოვა, ოღონდ ვაჩვენოთ, რომ ჩვენ არ გვინდა პუტინის რეჟიმი, რომლის დამონებულები არიან დღესდღეობით სასამართლო მთლიანად და ხელისუფლება და ჩვენ გვინდა ევროპა".

ვახტანგ სურგულაძემ განაცხადა, რომ მისი სათქმელი შეიძლება დისონანში იყოს იმ თემასთან, რაც განიხილება მიმდინარე სხდომაზე, მაგრამ ეხება თბილისს და „თავის თავს რომ კომპანიას უწოდებს, „GWP"-ს". მისი თქმით, კომპანიას, რომელსაც ას ოცდათხუთმეტი მილიონი მოგება აქვს, არაფერი გაუკეთებია იმისთვის, რომ გამოსწორდეს თბილისის წყალმომარაგება და გამოთქვა მოსაზრება, რომ იქნებ დადგა დრო, გადაიხედოს ხელშეკრულება და შეიცვალოს პროვაიდერი, რადგან მუდმივად რაღაც ფუჭდება და კომპანია ვეღარ ასრულებს თავის ფუნქცია-მოვალეობებს.

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა რეზოლუციაზე და განაცხადა, რომ სამწუხაროდ, ის არის ნეგატიური და დაფუძნებულია ბევრ მცდარ ინფორმაციაზე, მათ შორის, ფაქტობრივ უზუსტობებზეც და გარკვეული უზუსტობების შესწორება ბოლო 24 საათშიც კი მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ ევროპარლამენტი და ეს რეზოლუცია არ არის გადაწყვეტილების მიმღები ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით, მან შესაძლებელია გარკვეული გავლენა მაინც იქონიოს საკითხის შემდგომ გადაწყვეტაზე და ამიტომ, ამ სიტუაციაში გუშინდელი რეაქცია და ემოცია, რომელიც სიხარულს გავდა, ბევრ რამეზე მეტყველებს. ასევე, ისაუბრა მედიაზე და განაცხადა, რომ „ამაზე კიდევ ბევრი საუბარი და ყველაფრის გახსენება აღარ მგონია საჭირო, მით უფრო, რომ საზოგადოებას ახსოვს ძველიც, იცის ახალიც და შედარებასაც, ვფიქრობ, იმაზე უკეთ აკეთებს, ვიდრე, ეს თუნდაც ამ კონკრეტულ ჩანაწერებშია მოცემული".

ლილე ლიპარტელიანი გამოეხმაურა ვახტანგ სურგულაძის განცხადებას და მიმართა მას, რომ ტყუილად ითხოვს „GWP"-სთან გაფორმებული ხელშეკრულების გადახედვას, რადგან აღნიშნული ხელშეკრულება 2019 წელს, შეწყვიტა კახა კალაძემ და ამ კომპანიას, დღეის მდგომარეობით, არაფერი ვალდებულება არ აქვს თბილისის მოსახლეობის წინაშე. ლილე ლიპარტელიანმა წაიკითხა ამონარიდი რეზოლუციიდან: „ევროპარლამენტი გამოხატავს შეშფოთებას დესტრუქციულ როლზე, რომელსაც ასრულებს ერთადერთი ოლიგარქი ბიძინა ივანიშვილი საქართველოს პოლიტიკასა და ეკონომიკაში და კონტროლს იმ დონეზე, რომელსაც ივანიშვილი ახორციელებს მთავრობაზე და მის გადაწყვეტილებებზე" და მიმართა უმრავლესობის წევრებს - „ეს რომელი ფაქტობრივი უზუსტობის ნაწილია? ევროპა მიხვდა, რომ „ქართული ოცნება" დიდი ნაბიჯებით მიდის ჩრდილოეთისკენ, თქვენც, დარწმუნებული ვარ, რომ 90%-ს მაინც გაცნობიერებული გაქვთ უკვე, რომ ბიძინა ივანიშვილი მიგვათრევს იქ, საიდანაც ძლივს გამოვედით დიდი სისხლის და ომის ფასად... ძლივს, ნაბიჯ-ნაბიჯ, მივდივართ ევროპისკენ და ახლა, ამ გადამწყვეტ მომენტში, ევროპა მიხვდა, რასაც აკეთებს ბიძინა ივანიშვილი. დარწმუნებული ვარ, თქვენც, დიდი ნაწილი, მიხვდით ამ ყველაფერს და უფრო ვბრაზდები იმ ადამიანებზე, რომლებმაც იცით რა ხდება, იცით საით მივდივართ ამ დიდი ნაბიჯებით და მაინც დუმხართ, არაფერს აკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენ, ჩვენი შვილები, ჩვენი მომავალი იყოს გარანტირებული კეთილდღეობით ევროპაში და თავისუფალ სამყაროსთან ინტეგრირებული და არა იქით, საითაც დღეს თქვენ მიექანებით". მისი თქმით, ქართველი ხალხის ისტორიული არჩევანი არის ევროპა, ჩვენი გზა მიდის ევროპისკენ და აუცილებლად მოვა ის დრო, როდესაც საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი ქვეყანა.

თინათინ ნიბლოშვილი გამოეხმაურა ზვიად კუპრავას მიერ ლინა დოლიძესთან დაკავშირებით გაკეთებულ კომენტარს და განაცხადა, რომ დარწმუნებულია, მისი კოლეგების დიდი ნაწილი ემიჯნება მის განცხადებას, სადაც ის ამბობს, რომ თურმე სამართალდამცავმა უწყებებმა ლინა დოლიძეს ბრალი წარუდგინეს იმის გამო, რომ ის არის ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქე და მიმართა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებს: „ალბათ იაზრებთ, თქვენ, ჩემო მეგობრებო, რომ ეს არის ძალიან მძიმე ბრალდება იმ ფონზე, როდესაც ერთი მხრივ, მოგვიწოდებთ, რომ 20 ივნისს თქვენს გვერდით დავდგეთ, რომ ძალიან გინდათ სულ რამდენიმე კვირაში ჩვენი ქვეყნის სასიკეთო შედეგი დადგეს და პარალელურ რეჟიმში ასეთ განცხადებებს აკეთებს თქვენი კოლეგა. ზოგადად, კითხვა მაქვს: ეს კაცი თქვენს ფრაქციაში არის? გადიხართ ხოლმე ერთად თემებს? საუბრობთ ხოლმე რა განცხადება უნდა აკეთოს? ან იცით რა მოხდა რეალურად?" მისი თქმით, შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, რომ 2020 წლის არჩევნებზე, საარჩევნო უბანზე, მოხდა სიტყვიერი შელაპარაკება, რა დროსაც ქალბატონი ხელით შეეხო ორ ადამიანს და თავად მიმართა სამართალდამცავ უწყებებს, რის შემდეგაც დაიწყო გამოძიება, ამოღებული იქნა ვიდეომასალა და შემდეგ დადგა ის ფაქტი, რაც დადგა. ამ ყველაფრის ფონზე, დღეს, ოპოზიცია აკეთებს ისეთ განცხადებებს, რომლებსაც მივყავართ იმ შედეგამდე, რა შედეგებამდეც მივყავართ ხოლმე იმას, როდესაც, ოპოზიცია, საერთაშორისო ასპარეზზე, „ყველა კარზე აკაკუნებს", რომ როგორმე თავისი ქვეყანა ლაფში ამოსვაროს. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ „ალბათ, ძალიან უნდა გაუმართლოს ქვეყანას, რომლის 20% არის ოკუპირებული და ყავდეს ოპოზიცია, რომელიც ყველა კარზე აკაკუნებდეს და ყველაფერს აკეთებდეს, მუშაობდეს ქვეყნის საწინააღმდეგო რეზოლუციაზე".

ბარბარა ჯიმელი-სულაშვილი გამოეხმაურა გურამ ოქროპირიძის მიერ გაკეთებულ განცხადებას და მიმართა მას: „ალტერნატიული ბიუჯეტი არ ვიცი, მაგრამ ჩემი კოლეგების მინიმუმ ორ ინიციატივას მტვერი ედება საკრებულოს თაროებზე. იქნებ ამას მიხედოთ". ასევე, გამოეხმაურა უმრავლესობის წევრების მიერ გაკეთებულ განცხადებებს, რომლებიც ეხებოდა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების სურვილს და მიმართა მათ: „სამწუხაროდ, მარტო სიტყვებით ეს არ კეთდება, სიტყვებს უნდა დამტკიცება საქმით და ქმედებებით. თქვენს მიერ ჩატარებული არჩევნების დამსახურებით, თქვენს პარტიას აქვს უმრავლესობა, როგორც თბილისის საკრებულოში, ასევე საქართველოს პარლამენტში. ათი წელია გაქვთ ყველა შანსი, რომ წინა ხელისუფლებაზე უკეთესად აკეთოთ საქმე. რატომ არ აკეთებთ? რატომ აბრალებთ ოპოზიციას, რომ საქმეს გააფუჭებს? ოპოზიციამ გაჯობათ პიარში? და თუ ეს ასეა, მაშინ კარგად ყოფილა თქვენი საქმე. სიტყვებს უნდა მოყვეს ქმედება - გამოასწორეთ სასამართლო, გამოიძიეთ 5 ივლისი, 20 ივნისი. გააკეთეთ საქმე და ნუ გვეუბნებით თეთრზე, რომ შავია და შავზე - თეთრია. ამოიღეთ ხმა და ნუ დუმხართ, როდესაც რამე არასწორად კეთდება, ეს ხომ ადვილია? თქვენ გაქვთ პასუხისმგებლობა, თქვენ ხართ მმართველი პარტია და ისტორიაში ჩაიწერება ის, რაც თქვენმა ხელისუფლებამ გააკეთა და არა ის, რასაც აქ ილაპარაკებთ. მხოლოდ სიტყვები „ევროპა გვინდა", არ არის საკმარისი, თქვენ გაქვთ შანსი და თქვენ გაქვთ პასუხისმგებლობა".

შალვა ოგბაიძემ განაცხადა, რომ გუშინდელი დღიდან ესმის „სიხარულის ყიჟინა" და მიმართა მამუკა გუგეშაშვილს, როდესაც ვინმეს რუსეთთან დააკავშირებს, ცოტა მეტი სიფრთხილე გამოიჩინოს, რადგან ამ დარბაზში სხედან ადამიანები, რომლებიც იბრძოდნენ აფხაზეთში. მისი თქმით, „ნაციონალური მოძრაობა" მოწყვეტილია მოსახლეობას, ხოლო გამგებლები, მაჟორიტარები, მერიის სამსახურები, ადგილობრივი თვითმმართველობა არასდროს ისე ახლოს არ ყოფილა მოსახლეობასთან, როგორც არის დღეს. განაცხადა, რომ „ევროპეიზმი არის ბუნებრივი მდგომარეობა, სვლა ევროპისაკენ, ეს არის წესრიგი, ეს არის სისუფთავე, გამართული ინფრასტრუქტურა, სკვერები, გარემოს დაცვა, გამართული ტრანსპორტი, ბაგა-ბაღები და ა.შ." და აღნიშნა, რომ სწორედ ამას მოითხოვს ყოველდღიურად მოსახლეობა და გაჭირვებული ადამიანი არცერთ მაჟორიტარს არ ეკითხება, ჯიბეში ვისი მანდატი უდევს. საუბრის ბოლოს, მიმართა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებს - „ჩვენთან ერთად იარეთ. გულწრფელად გეუბნებით, მე არ მერიდება თქვენთან ერთად სიარული, ვიაროთ და შევხედოთ, ამ ხალხს რა აინტერესებს და როგორ ესმის ევროპეიზმი".

ზაზა თავაძემ ისაუბრა რეზოლუციაზე, რომელშიც, მისი თქმით, ხაზგასმულია ორი ძირითადი, მთავარი საკითხი: კანონის უზენაესობის პრობლემა ამ ქვეყანაში და მედიის თავისუფლება და განაცხადა, რომ „დამნაშავის" ძებნა არ უნდა დავიწყოთ ევროპარლამენტში და ამ ქვეყნის ფარგლებს გარეთ, რადგან „დამნაშავე" უნდა ვეძებოთ ქვეყნის შიგნით, კერძოდ, ვინც დაასამარა და დღემდე ძირს უთხრის თავისუფალ სასამართლოს. მისი თქმით, „ეს არის მთავარი რეცეპტი და მთავარი ღერძი გადის სასამართლოს თავისუფლებაზე" და თუ დღეს ვინმეს ერთი სიტყვა მაინც ეთქმის ამასთან დაკავშირებით, ალბათ ერთ-ერთი მათგანი არის თავად, როგორც მრავალი წლის განმავლობაში უშუალოდ შეხებაში მყოფი და აქედან გამომდინარე, განაცხადა: „სანამ ამ ქვეყანაში არ იქნება თავისუფალი და დამოუკიდებელი სასამართლო, სანამ არ იქნება ეს უფლება გარანტირებული და კონსტიტუცია არ იმოქმედებს ბოლომდე, მანამდე ეს რეზოლუციები არ უნდა გაგვიკვირდეს".

ლევან ჟორჟოლიანი გამოეხმაურა სხდომაზე გაჟღერებულ თემებს და განაცხადა, რომ ხშირ შემთხვევაში, ფაქტობრივი უზუსტობები ქმნის კიდევ უფრო მეტი პოლარიზაციის წყაროს და მაგალითისთვის გაიხსენა სტრასბურგში, საქართველოს ანგარიშზე ყოფნის დროს მომხდარი ფაქტი, როდესაც საქართველოს ანგარიშში მოხვედრილი იყო ფრაზა, რომ „არჩევნების პერიოდში ჩამოვიდა ქვეყნიდან გაძევებული ყოფილი პრეზიდენტი". მისი თქმით, მას შემდეგ, რაც მან ანგარიშის მომხსნებელს განუმარტა, რომ საკაშვილისთვის არავის უთქვამს ძალით წასულიყო ქვეყნიდან და გამხდარიყო უკრაინის მოქალაქე და მიუთითა, რომ ტერმინი „გაძევებული" ჩვენს ქვეყანაში გამოიწვევდა კიდევ უფრო მეტ პოლარიზაციას, პასუხად მიიღო, რომ „თურმე, აპარატს გაეპარა რაღაც". სამწუხაროდ, ძალიან ხშირად, ხდება ისეთი ტერმინების თუ ფაქტობრივი გარემოებების შემოტანა მსგავსი ტიპის, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციების, ანგარიშებში, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ხდება ძალიან დიდი დებატების საგანი და ამ დებატების შემდეგ, სამწუხაროდ, უკან გვრჩება ის რეალური პრობლემები, რომლებიც თბილისელებს და ზოგადად, საქართველოს მოქალაქეებს აწუხებთ. აქვე განაცხადა, რომ, როგორც ნინო ვარდოსანიძემ აღნიშნა, გუშინდელი რეზოლუცია განახლდა ერთ-ერთი ფაქტობრივი გარემოების ნაწილში და გარკვეულ უხერხულობას ქმნის „ამხელა ორგანიზაციის" მიერ რეზოლუციის მიღების შემდეგ იმის აღიარება, რომ გაეპარა ფაქტობრივი შეცდომა და ამიტომ აღარ აქვს ესა თუ ის მოთხოვნა. მისი თქმით, ევროპა და ევროპული ღირებულებები არის ის საუკუნოვანი გზა, რომელიც, ჯერ კიდევ სულხან-საბას პერიოდიდან აირჩია ქართველმა ხალხმა და ამ არჩევანს უნდა მიჰყვეს ყველა ხელისუფლება, იმის მიუხედავად, თუ რა იდეოლოგიის და შეხედულებებისაა. მისი თქმით, გაუგებარი და მიუღებელია ოპოზიციის განცხადება, რომ დღევანდელი ხელისუფლება არჩევნებს იგებს „ალტ ინფოს" დახმარებით, რადგან ელემენტარული მათემატიკაა ის, რომ თუ ამ ქვეყნის მოსახლეობის 90%-ს უნდა ევროპა და ნატო, მაშინ რანაირად იგებს არჩევნებს „ქართული ოცნება" „ალტ ინფოს" დახმარებით?" მისი თქმით, ასევე, გაუგებარი და მიუღებელია ისეთი შინაარსის განცხადებები როგორიცაა მაგალითად: „იმედია დღევანდელი ან გუშინდელი თქვენი განცხადებები არ დააბრკოლებს ევროპას სტატუსის მონიჭებასთან დაკავშირებით", რადგან ყველა კარგად ხვდება, რომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭება უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოსთვის, არის, მათ შორის, ევროპის პოლიტიკური პასუხი იმ საშინელ აგრესიაზე, რომელიც რუსეთმა გამოავლინა შუაგულ ევროპაში ომის დაწყებით, რაც არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ, მსოფლიოს ძალიან ბევრი ქვეყნისთვის იყო წარმოუდგენელი. მისი თქმით ის, რომ გადაწყვეტილების მიღებაზე იმოქმედებს მომდევნო ორი კვირის განმავლობაში „ქართულ ოცნებაში", ოპოზიციაში ან სადმე გაკეთებული განცხადება, არასერიოზულია იქიდან გამომდინარე, რომ კანდიდატის სტატუსის მინიჭება ევროპის მხრიდან არის პოლიტიკური აქტი და მხარდაჭერა რომ ის მზად არის თავისი ოჯახის წევრად მიგიღოს, გარკვეული პირობების შესრულების შემდეგ. თუმცა, სერიოზული ამბავია ის, რომ ამ მიზნისკენ გზაში ვიყოთ ერთიანები და იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილია ხელისუფლებაც და ოპოზიციაც, ყველა ვემსახუროთ იმ ერთ და ძალიან დიად მიზანს, რასაც ჰქვია ამ ქვეყნის და მისი მოსახლეობის კეთილდღეობა და ბედნიერება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ალექსანდრე რატიშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე კახაბერ გულედანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: ვლადიმერ ჭიღლაძე
თანამომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ლევან ნაროუშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: ვლადიმერ ჭიღლაძე
თანამომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული $M_3$ კატეგორიის და $M_2$ კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტრო ტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი - ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: დავით ჯაიანი

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_3$ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: დავით ჯაიანი

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამშენებლო სამართალდამრღვევისთვის დადგენილებაზე წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველზე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაცნობის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის №64-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: გიგა გიგაშვილი

10. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: გიგა გიგაშვილი

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ - გიგლა მირცხულავას (პ/ნ: 62001005806) შორის 2014 წლის 28 იანვარს გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი NE-244-3-10773 ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, კრისტიან სტივენის ქუჩა №23-ში მდებარე 92.00 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.72.14.040.029.01.06.030) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, კრისტიან სტივენის ქუჩა N23-ში მდებარე 44.80 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.72.14.040.029.01.06.014) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის I შესახვევის N6-ში მდებარე 74.30 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.061.01.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, იუნკერთა ქუჩა N34-ში მდებარე 67.79 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.01.05.498.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის II ჩიხის N3-ში მდებარე 88.70 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.081.01.500) და ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის II ჩიხის N3-ში მდებარე 99.76 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.081.01.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

17. „ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზირი N25-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.003.005.01.531) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

18. „ქალაქ თბილისში, კორნელი სანაძის ქუჩა N43ზ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.442.01.517) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

19. „ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა №91-ში (საკადასტრო კოდი: №01.18.09.003.011.01.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

20. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების I შესახვევი №3ა-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.05.011.303.01.823) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

21. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა №8-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.05.030.001.01.507) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

22. „ქალაქ თბილისში, აკაკი ვასაძის ქუჩა №30-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.12.018.034.02.512) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

23. „ქალაქ თბილისში, წინამძღვრიშვილის ქუჩა №99-ში (საკადასტრო კოდი: №01.16.01.012.002.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

24. „ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა №14დ-ში, №14ბ-ში (საკადასტრო კოდები: №01.19.19.005.213, №01.19.19.005.217 და №01.19.19.005.007) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

25. „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, მე-4 მიკრორაიონის კორპუს №15-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.08.006.007) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

26. „ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩაზე, სამხედრო დასახლებაში (საკადასტრო კოდი: №01.19.19.005.057) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

27. „ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში, I კვარტლის კორპუსი №12-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.27.008.005.01.121) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

28. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა №6-ში მდებარე 78.86 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.15.07.017.054.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

29. „ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა №35-ში მდებარე 16.90 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.10.002.084.01.049) და 13.50 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.10.002.084.01.053) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

30. „ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა №98-ში მდებარე 45.00 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.11.10.010.032.01.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

31. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, აკაკი ხორავას ქუჩა №13-17/ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა №5-ში მდებარე 111.62 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.15.07.017.048.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

32. „ქალაქ თბილისში, ზაჰესში, ჭიჭინაძის ქუჩა №12-ში (საკადასტრო კოდი: №72.12.03.012.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

33. „ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლება №18-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.25.009.038.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

34. „ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის I ჩიხი №14-ში (საკადასტრო კოდები: №01.19.33.001.195.01.502 და №01.19.33.001.195.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

35. „ქალაქ თბილისში, ალექსიძის ქუჩა №1-ში (ნაკვეთი 40/014, საკადასტრო კოდი: №01.10.13.040.113.01.607) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

36. „ქ.თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №57-ის მიმდებარედ 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.037.017) პირდაპირი განკარგვის წესით გია იმნაძესთვის (პ/ნ.01009002133) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

37. „ქ.თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. №50-54-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 2432 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: 01.14.11.004.047) ტერიტორიიდან 57 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „პროგრეს გრუპისთვის" (ს/კ.: 404612479) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

38. „ქ.თბილისში, დაბა კოჯორში არსებული 549 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.01.12.188) პირდაპირი განკარგვის წესით დავით აღდგომელაშვილისთვის (პ/ნ: 01008016454) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

39. „ქ.თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. №64-74-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 3189 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: 01.14.11.002.626) ტერიტორიიდან 43 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჭავჭავაძის 64ა"-სთვის (ს/კ.: 404890908) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

40. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯი"-ს (ს/ნ: 404561568) შორის 2019 წლის 22 მარტს გაფორმებულ „იჯარის Nე-455-1-23227 ხელშეკრულების" ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

41. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, მახინჯაურის ქუჩა №8-ში მდებარე 372 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №01.12.12.031.041) და ქალაქ თბილისში, ლიბანის ქუჩა №14-ის მიმდებარედ არსებული 1654 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №01.11.03.004.044) მიწის ნაკვეთების გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

42. „ქალაქ თბილისში, ჩიქოვანის ქუჩა №36-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.10.17.023.001.01.01.032) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციისთვის" (ს/ნ.: 405185400) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

43. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.№1 (ს/კ.: №01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ.№3 (ს/კ.: №01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.№6, კორპუსი 14, (ს/კ.: №01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.№16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი №1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: №01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა №2 (ს/კ.: №01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.№45-47-49 (ს/კ.: №01.13.05.004.173, №01.13.05.004.059, №01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ბოხუას ქ.№10, (ს/კ.: №01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" (ს/ნ.: 204460957) და შპს „ანაგი დეველოპმენტ 3"-ის (ს/ნ.: 404592008) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, ბოჭორმის ქ.№27 (ს/კ.: №01.17.13.047.013) მდებარე მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

44. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

45. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

46. „ქალაქ თბილისში, დიღომში, ქოშიგორაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.72.14.045.632; №01.72.14.045.641; №01.72.14.045.640; №01.72.14.045.639; №01.72.14.045.638; №01.72.14.045.637) საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

47. „ქალაქ თბილისში, ღოღობერიძის ქუჩა №9-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: №01.18.13.020.063) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

48. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორის (ნაკვეთი 14/174); ქალაქი თბილისი, დასახლება ვარკეთილი 3, მიკრო/რაიონი IV მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.19.36.014.174; №01.19.36.016.765) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

49. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.23.470; №72.16.15.681; №72.16.23.909) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

50. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №81.02.97.315; №81.02.96.137) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის №117 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

51. „ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, რეხის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 ოქტომბრის №324 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

52. „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, კორპუსი №26-ის მიმდებარედ, პეტრე იბერის ქუჩა №30; ქალაქი თბილისი, დიდი დიღმის დასახლება, დ. თავდადებულის კორპ. №26-ის მიმდებარედ, ნაკვ. №112-2, ნაკვ. №112-1; ქალაქი თბილისი, დიდი დიღმის დასახლება, პეტრე იბერისა და იოანე პეტრიწის ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №01.10.06.001.229; №01.10.06.001.002; №01.10.06.001.125; №01.10.06.001.126; №01.10.06.001.278) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №415 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

53. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, იოსებ კეჭაყმაძის IV შესახვევი, №14-ში; ქალაქი თბილისი, ლისი, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.15.256; №72.16.23.786; №72.16.23.618; №72.16.23.559; №72.16.33.142; №72.16.23.617; №72.16.23.074; №72.16.23.078) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

54. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, იოსებ კეჭაყმაძის IV შესახვევი, №12, №10-შიარსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.23.499; №72.16.23.500) დამიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

55. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში, ამაღლების I შესახვევი, № 7ა, №3, №9ა, №9, №9ბ-შიარსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №81.02.02.377; №81.02.02.949; №81.02.02.471; №81.02.02.743; №81.02.02.513) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

56. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.05.009.123; №01.14.05.009.122) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

57. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №81.02.21.067; №81.02.21.326; №81.02.21.319; №81.02.21.983) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

58. „ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა №18-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.17.09.007.073; №01.17.09.007.072) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

59. „ქალაქ თბილისში, აბაშვილის ქუჩა №7-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: №01.19.19.004.008) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსისგანაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

60. „ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.17.003.002-ის ნაწილი) ინდივიდუალური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

61. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, სიმონ ავალიანის ქუჩა, №19ა, №19ბ, №23, №23ა, №25, №25ა, №25ბ, №25გ, №27-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.32.008; №72.16.32.037; №72.16.32.036; №72.16.15.883; №72.16.32.035; №72.16.23.097; №72.16.32.047; №72.16.32.048; №72.16.32.009; №72.16.23.155; №72.16.23.776; №72.16.23.775; №72.16.23.109; №72.16.15.884; №72.16.15.885; №72.16.23.754; №72.16.23.110; №72.16.23.753; №72.16.23.156) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

62. „ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა №23-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ.01.17.11.034.007) საცხოვრებელი კომპლექსისა და საკულტო ობიექტის (ტაძრის) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

63. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №81.02.21.689; №81.02.21.679) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 აპრილის №167 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

64. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, კონსტიტუციის ქუჩისთვის კომპოზიტორის, საზოგადო მოღვაწის გია ყანჩელის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

65. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების IV ქუჩის მონაკვეთისთვის და IV ჩიხისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ნინო თოიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

66. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების V ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული სამი ჩიხისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ნატო გიორგაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

67. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების V ქუჩის მონაკვეთისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ვენერა მეტრეველის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

68. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების IV და V ქუჩების მონაკვეთებისთვის და ერთი ჩიხისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული აზა ადამიას სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

69. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ქინძმარაულის II შესახვევთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული მარინა ჭყონია-სამარგულიანის სახელის მინიჭების შესახებ";

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

70. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქუჩის II შესახვევის მონაკვეთისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ნანა სამარგულიანის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ";

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

71. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მექანიზაციის ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ზაირა კიკვიძის სახელის მინიჭების შესახებ";

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

72. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, შალვა ცინცაძის I შესახვევის მონაკვეთისთვის და შალვა ცინცაძის ქუჩის გასასვლელის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული გასასვლელისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ნოდარ ჯანგირაშვილის სახელის მინიჭების შესახებ";

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

73. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, შალვა ცინცაძის I შესახვევის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული ორი ჩიხისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული მამუკა ნოზაძის სახელის მინიჭების შესახებ";

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

74. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ტყეკულტურის III შესახვევისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული შალვა ქვასროლიაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ";

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

75. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, სერგი დანელიას ქუჩის გაგრძელების შესახებ";

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

76. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, აჭარის ქუჩის გაგრძელების შესახებ";

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

77. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, მარიკა ბარათაშვილის ჩიხისთვის მარიკა ბარათაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ";

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

78. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის ორხევის სახელის მინიჭების შესახებ";

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

79. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირთან მდებარე უსახელო ჩიხისთვის წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ";

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

80. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთში, სოხუმის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის სოხუმის III ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ";

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

81. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, რომან გვენცაძის ქუჩასთან არსებული ოთხი უსახელო ჩიხისთვის რომან გვენცაძის სახელის მინიჭების შესახებ";

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

82. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის IV მიკრო/რაიონში, 420-ე კორპუსთან არსებული უსახელო სკვერისთვის ირადიონ (იური) ჩოფლიანის სახელის მინიჭების შესახებ".

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ალექსანდრე რატიშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და აღნიშნა, რომ 2022 წლის 1 ივნისს, საკრებულოს წევრმა ალექსანდრე რატიშვილმა, უფლებამოსილების მოხსნის შესახებ წერილობითი განცხადებით მიმართა მას. (წერილი N03-032215223) განმარტა, რომ ალექსანდრე რატიშვილს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღიდან, მადლობა გადაუხადა თანამშრომლობისთვის და წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ალექსანდრე რატიშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ" საკითხი ცნობად იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე კახაბერ გულედანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და აღნიშნა, რომ კახაბერ გულედანი მრავალი წელია სხვადასხვა თანამდებობაზე საქმიანობს თბილისის მუნიციპალიტეტში, არის ერთ-ერთი წარმატებული და პროფესიონალი კადრი თბილისის მერიაში, ყოველთვის აქტიურად თანამშრომლობდა საკრებულოსთან და იმედი გამოთქვა, რომ თბილისის მერის მოადგილის თანამდებობაზე მისი საქმიანობა იქნება კიდევ უფრო წარმატებული.

გიორგი ონიანმა აღნიშნა, რომ 2022 წლის 8 თებერვალს, კახაბერ გულედანი მიწვეული იყო საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" სხდომაზე, თუმცა ის არ მივიდა ფრაქციის სხდომაზე, რის შემდეგაც კახა კალაძემ განაცხადა, რომ კახაბერ გულედანი მაშინ მივიდოდა საკრებულოში, როდესაც ბატონი მერი მოისურვებდა. აქვე აღნიშნა, რომ საკრებულოს რეგლამენტის თანახმად, თბილისის მთავრობის წევრი, მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულია დაესწროს საკრებულოს ფრაქციის სხდომას და პასუხი გასცეს დასმულ შეკითხვებს და მიმართა კახაბერ გულედანს: „რატომ გახდა კახა კალაძის პოზიცია თქვენთვის კანონის პოზიციაზე უფრო მაღალი და მომავალში აპირებთ თუ არა ისევ კახა კალაძეს დაეკითხოთ ის, რაც რეგლამენტშია გაწერილი".

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიურ ფორმატში მერიის სხვადასხვა სამსახურის უფროსები აქტიურად იღებენ მონაწილეობას და მომავალშიც ასე გაგრძელდება და მიმართა გიორგი ონიანს: „თქვენ არ გინდათ საქმიანი ფორმატი... როდესაც ფრაქციები გადახვალთ სამუშაო რეჟიმში, მაშინ იქნება ჩათვლილი, რომ სამსახურის უფროსებმა მიიღონ მონაწილოება ფრაქციის სხდომებში“. აქვე, განაცხადა, რომ, როგორც საკრებულოს თავმჯდომარე, უზრუნველყოფს, რომ ყოველთვის, ყველა საკითხთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრებმა, მათ შორის ოპოზიციის წარმომადგენლებმა, ყველა კითხვაზე მიიღონ პასუხი, არა „შოუების დადგმის“, არამედ, საქმიან რეჟიმში.

ანა გოგოლაძე დაინტერესდა, კახაბერ გულედანის მუნიციპალური ინსპექციის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ყოფნისას რა ღონისძიებები გაატარა სამსახურმა იმისთვის, რომ მოეხდინა დიღმის ჭალებში მიმდინარე უკანონობის პრევენცია, რაშიც იგულისხმება კარიერზე მიმდინარე უკანონო სამუშაოები, მტკვრის დაბინძურება და კალაპოტის მორღვევა, დაახლოებით ათ ჰექტარზე დასაწყობება, რაც ანადგურებს ლანდშაფტს და შედეგად სახეზე გვაქვს დიღმის ჭალების 2/3-ის განადგურება. ასევე, დაინტერესდა, როგორი იქნება კახაბერ გულედანის ხედვა ან რა საკითხებს გამოყოფდა, რომლებსაც განსხვავებულად გააკეთებდა, ვიდრე კეთდება დღემდე.

საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს მიერ თავისი საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებისთვის აუცილებელია, რომ შესრულებული იყოს კანონში არსებული დათქმები. განაცხადა, რომ არ ეთანხმება გიორგი ტყემალაძის მიერ ნათქვამ არც ერთ სიტყვას, რადგან კანონში არსებობს ჩანაწერი და „არავის წყალობა“ არ სჭირდება საკრებულოს წევრებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ წარიმართება საკრებულოში სამუშაო პროცესი. მისი თქმით, კანონი იმიტომ მოიაზრებს ფრაქციის არსებობის შესაძლებლობას საკრებულოში, რომ საჭირო არ იყოს კომისიის თავმჯდომარეებთან მოლაპარაკება ფრაქციის სხდომაზე ვინმეს მოწვევასთან დაკავშირებით. აღნიშნა, რომ ფრაქციამ „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“, მერიის სხვადასხვა სამსახურებში, ფრაქციის სხდომაზე დასწრების სამი მოთხოვნა გაგზავნა და სამივე სხდომა იყო დახურული. შესაბამისად, არავითარი „შოუს ელემენტები“ არ ყოფილა და მიმართა კახაბერ გულედანს - „რატომ არ მობრძანდით ფრაქციის სხდომაზე, სადაც კანონით გევალებოდათ, რომ მოსულიყავით და გესაუბრათ მიმდინარე საკითხებზე და თქვენს ხედვაზე გარე ვაჭრობასთან დაკავშირებით“.

გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ კახაბერ გულედანი და ლევან ნაროუშვილი ჩაიბარებენ მნიშვნელოვან სფეროებს და წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში. გამოეხმაურა კახაბერ გულედანის ფრაქციის სხდომაზე არ მისვლასთან დაკავშირებით გაკეთებულ კომენტარებს და განაცხადა, რომ მერია აბსოლუტურად ღიაა, როგორც წერილებზე პასუხთან დაკავშირებით, ასევე, საკრებულოს სხდომებზე და კომისიურ ფორმატში ჩართულობის კუთხით, თუმცა ძალიან დიდი პერიოდი იყო, როდესაც ოპოზიციის წარმომადგენლები საერთოდ არ ესწრებოდნენ არც კომისიის და არც საკრებულოს სხდომებს, ხშირ შემთხვევაში, გაუმართლებელი მიზეზებით.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ თბილისში ძალიან ბევრი უკანონო მშენებლობაა, თუმცა მუნიციპალური ინსპექციის მხრიდან კომპანიების დაჯარიმება ხდება შერჩევითად. ისაუბრა რამდენიმე უკანონო მშენებლობაზე, კერძოდ: წყნეთში „ბაჩიაშვილის“ მშენებლობაზე, სადაც აშენებულია რამდენიმე კორპუსი, მიტაცებული აქვთ სატყეო ზონა და მოწყობილია აუზები; ორბელიანის მოედანზე მიმდინარე უკანონო მშენებლობაზე, სადაც შეთანხმებული იყო მხოლოდ ესკიზი, თუმცა დღეს შენობა ლეგალიზებულია; „მოდუსის“ უკანონო მშენებლობაზე ბელიაშვილის ქუჩაზე, ვარკეთილში რვა სართულიანი კორპუსის უკანონო მშენებლობაზე და აქვე აღნიშნა, რომ ეს ბიზნეს-ჯგუფი ასევე, უკანონო მშენებლობას აწარმოებს რამდენიმე ადგილას, მათ შორის: დიღომში, შინდისში და წყნეთში, ნუშის ბაღების ტერიტორიაზე და დაინტერესდა, რა ღონისძიებები გაატარა მუნიციპალურმა ინსპექციამ მის მიერ ხსენებულ უკანონო მშენებლობებთან დაკავშირებით.

მამუკა გუგეშაშვილმა აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრების ვალდებულებაა მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინება, თუმცა საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატები ვერ პასუხობენ მოქალაქეების წერილებს იქიდან გამომდინარე, რომ მერიის სამსახურები არ აწვდიან შესაბამის ინფორმაციას და თხოვნით მიმართა კახაბერ გულედანს, იქონიოს მათთან საქმიანი ურთიერთობა.

ოთარ გრიგოლიამ კახაბერ გულედანს მადლობა გადაუხადა თანამშრომლობისა და გაწეული საქმიანობისთვის და იმედი გამოთქვა, რომ ის ღირსეულად განაგრძობს ილია ელოშვილის მიერ დაწყებულ საქმეს. გამოეხმაურა მერიის საქალაქო სამსახურების უფროსების საკრებულოს ფრაქციების სხდომებზე მოწვევასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს და განაცხადა, რომ „ჩვენთან არსებული დაძაბული პოლიტიკური ფონის და, ასე ვთქვათ, „შოუებად" გადაქცეული საქმიანობის საპირწონედ, ჩვენ მივიღეთ პოლიტიკური გადაწყვეტილება, „ქართულმა ოცნებამ", მათ შორის, კახა კალაძესთან ერთად, რომ ამის საშუალება არ მივცეთ ოპოზიციას. ეს არის კითხვა ჩვენთან და ამაზე პასუხი გაქვთ ჩვენგან".

კახაბერ გულედანმა უპასუხა დასმულ შეკითხვებს და განმარტა, რომ ბოლო წლების განმავლობაში, დაახლოებით 1500 სამშენებლო სამართალდარღვევაა გადაცემული აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის, ასეულობით საქმე არის სასამართლოში, ასეულობით მიმდინარე საქმეა და არავინ ხელმძღვანელობს შერჩევითობის პრინციპით. ლილე ლიპარტელიანის მიერ ხსენებულ მშენებლობებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ წყნეთში, ხუთ სამშენებლო სამართალდარღვევაზე დაწყებულია საქმე, მშენებლები დაჯარიმებული არიან და აქვთ დემონტაჟის ვალდებულება, თუმცა, მათ ასევე, აქვთ გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლება, რასაც ვერავინ აუკრძალავს. შესაბამისად, მუნიციპალური ინპექციის მხრიდან, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განხორციელებულია შესაბამისი რეაგირება და ქმედება.

ლილე ლიპარტელიანი დაინტერესდა, რა ნაწილში ახორციელებს დემონტაჟს მუნიციპალიტეტი და რა ნაწილში აღსრულების ეროვნული ბიურო.

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ ბოლო წლებში, საკმაოდ გამკაცრებულია უკანონო მშენებლობებთან დაკავშირებული მიდგომები და, მათ შორის, დემონტაჟიც. აღნიშნა, რომ აქამდე არსებული პრაქტიკით, თუ უკანონო მშენებლობა განხორციელებული იყო კერძო საკუთრებაში, საქმე გადაეცემოდა აღსრულებას, რათა მოეხდინა დემონტაჟი, ხოლო მუნიციპალიტეტი ახორციელებდა სახელმწიფო და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მიმდინარე უკანონო მშენებლობების დემონტაჟს. თუმცა, დღევანდელი მდგომარეობით, მუნიციპალიტეტი ახორციელებს წითელ ხაზებში არსებული უკანონო მშენებლობის დემონტაჟსაც იმ შემთხვევაში, თუ ესა თუ ის უკანანო მშენებლობა ლახავს საჯარო ინტერესს. მისი თქმით, ეს არის დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკური გადაწყვეტილება და მოქმედი კანონმდებლობა იძლევა ამის შესაძლებლობას. რევაზ სოხაძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალური ინსპექციის სამსახურის პრეროგატივაა არა მხოლოდ უკანონო მშენებლობების კუთხით მოღვაწეობა, არამედ, ასევე, შენობების ექსპლუატაციაში მიღება და დადასტურება, რამდენად სწორად და პროექტთან შესაბამისობაშია განხორციელებული მშენებლობა და ამ მიმართულებით გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რათა ყველა მშენებელი მიეჩვიოს იმას, რომ მშენებლობა აწარმოოს ზუსტად დამტკიცებული პროექტის შესაბამისად.

კახაბერ გულედანმა განაგრძო დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა და განმარტა, რომ კომპანია „მოდუსის" ორ მშენებლობაზე - ვარკეთილში და ბელიაშვილზე საქმისწარმოება დაიწყო 2018 წელს და ამ ეტაპზე დასრულებულია - კომპანია ერთ ლოკაციაზე დაჯარიმებულია ხუთჯერ, ჯამში, 225000 ლარით, ხოლო მეორე ლოკაციაზე - 170000 ლარით. ვარკეთილში მიმდინარე მშენებლობაზე აღნიშნა, რომ მისი შეჩერების ბრძანება გაიცა 2019 წელს, კომპანია დაჯარიმებულია თორმეტჯერ და ჯარიმის სახით დაკისრებული აქვს 575000 ლარი. რაც შეეხება ორბელიანის მოედანზე მიმდინარე მშენებლობას, განაცხადა, რომ ვერ ხვდება ზუსტად რა ლოკაციაზეა საუბარი და აქედან გამომდინარე, გაუჭირდება პასუხის გაცემა.

რევაზ სოხაძემ ორბელიანის მოედანზე არსებულ მშენებლობაზე განმარტა, რომ ორბელიანის მოედნის რეაბილიტაციის მიმდინარეობისას, ისტორიულმა საბჭომ შეითანხმა ესკიზი. მისი თქმით, აშენდა ძალიან ლამაზი და იმ არეალისთვის შესაბამისი შენობა, რომელთან დაკავშირებითაც დღეს იურიდიულად და დოკუმენტალურად ყველაფერი წესრიგშია. აქვე აღნიშნა, რომ ხსენებული მშენებლობა განხორციელდა იმ პერიოდში, სანამ კახაბერ გულედანი დაინიშნებოდა მუნიციპალური ინსპექციის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე.

საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ პასუხი არ მიუღია კითხვაზე, თუ რატომ არ მივიდა კახაბერ გულედანი ფრაქციის სხდომაზე და განაცხადა, რომ სურს პასუხი მიიღოს კითხვის ადრესატისგან და არა სხვა ადამიანებისგან.

კახაბერ გულედანმა უპასუხა საბა ბუაძის მიერ დასმულ შეკითხვას და განაცხადა, რომ „გუნდურად იქნა ეს გადაწყვეტილება მიღებული".

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ ტყუილია, თითქოს პოლიტიკურ სპეკულაციას ჰქონდა ადგილი, რადგან მისი საკრებულოს წევრობის განმავლობაში, არც ერთი ფრაქციის სხდომაზე არ მოსულა თბილისის მერიის არც ერთი მაღალჩინოსანი და ამიტომ, „იმაზე აპელირება, რომ სადმე იქნება რამე სპეკულაცია, არის ტყუილი". აქვე, ისაუბრა მთაწმინდის რაიონში, კოტე მახარაძის ქუჩაზე, ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში არსებულ მდგომარეობაზე, სადაც საქართველოს პარლამენტის წევრის, ელგუჯა გოცირიძის, საცხოვრებელ ფართს უკანონოდ აქვს მიშენებული, „ვიზუალურად ძალიან მახინჯი", შუშის ელემენტი და დაინტერესდა აქვს თუ არა ინფორმაცია კახაბერ გულედანს ამ შემთხვევის შესახებ და გაუტარებია თუ არა მუნიციპალური ინსპექციის სამსახურს რაიმე ღონისძიება და თუ არაფერი მოუმოქმედებია, ითხოვა ცნობად მიიღოს აღნიშნული საკითხი.

კახაბერ გულედანმა განაცხადა, რომ ჩაინიშნავს აღნიშნულ საკითხს და გაერკვევა არსებულ ვითარებაში.

გიორგი ონიანმა აღნიშნა, რომ ვაზისუბანში, ეკლესიის მოპირდაპირედ, არის უკანონო მშენებლობების პრობლემა. მისი თქმით, ამ ადამიანებს, მიუხედავად იმისა, რომ აწარმოებენ უკანონო მშენებლობას, აქვთ ყოველდღიური ხარჯი და იქიდან გამომდინარე, რომ სამგორის რაიონში მსგავსი სახის მშენებლობების დემონტაჟის გამოცდილება გვაქვს, საინტერესოა, რატომ არ ჩათვალა საჭიროდ მუნიციპალურმა ინსპექციამ, რომ თანამშრომელთა ჯგუფს ემორიგევა ამ ტერიტორიაზე და მოქალაქეებისთვის აეკრძალა მშენებლობის გაგრძელება. მისი თქმით, სამომავლოდ, იმ შემთხვევაში, თუ აღსრულდება კანონი, ამ ადამიანებს, კანონიერად, თუმცა, სერიოზული ფინანსური ზიანი მიადგებათ და იქიდან გამომდინარე, რომ პროცესი განგძობითია და საუბარია ორი და სამსართულიანი სახლების მშენებლობაზე, შესაძლებელი იყო პრევენციული ღონისძიებების გატარება.

რევაზ სოხაძე დაეთანხმა გიორგი ონიანს და განაცხადა, რომ მახათას მთის არეალზე მიმდინარე პროცესები „ყოველგვარ ზღვარს სცდება", რადგან დაიწყეს სამსართულიანი სახლების მშენებლობა და ამასთან დაკავშირებით, რამდენიმე კვირის წინ, თბილისის მერიაში იყო შეხვედრა, სადაც განხილული იქნა ამ არეალში არსებული უკანონო მშენებლობების დემონტაჟის საკითხი და გასატარებელი ღონისძიებები. მისი თქმით, საკითხის ისე დაყენება, რომ მერიის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებმა იმორიგეონ იმიტომ, რომ ამ ადამიანებს სამომავლოდ არ მიადგეთ ფინანსური ზიანი, არასწორია, რადგან მუნიციპალიტეტის ვალდებულება არ არის იფიქროს იმაზე, რომ ესა თუ ის ადამიანი, დანაშაულის ჩადენისას, მიიღებს თუ არა ფინანსურ ზიანს, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე მშენებლობები ცხადყოფს, რომ ის სახლები არ არის გაჭირვებული ადამიანების მიერ აშენებული. საუბრის ბოლოს, კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ თბილისის მერია მუშაობს ამ მიმართულებით გასატარებელ ღონისძიებებზე და განაცხადა, რომ ამ ქალაქში უნდა დასრულდეს მიწების მიტაცება.

კახაბერ გულედანმა განაცხადა, რომ მუნიციპალური ინსპექცია, თავისი ადამიანური რესურსის გათვალისწინებით, დაკავებულია იმ საქმიანობით, რომ ამოწმებს უკანონო მშენებლობებს, აფრთხილებს მშენებლებს, იწყებს საქმისწარმოებას და იმის მიხედვით, თუ ვის

მფლობელობაშია მიწა, რომელზეც მიმდინარეობს უკანონო მშენებლობა აგრძელებს საქმისწარმოებას - აჯარიმებს მშენებლებს, ახორციელებს დემონტაჟს, გადასცემს აღსრულებას. და ა.შ. კახაბერ გულედანმა ასევე, უპასუხა დიღმის ჭალებთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას და განაცხადა, რომ მუნიციპალური ინსპექციის მიერ, გარემოს დანაგვიანებაზე დაწერილია არაერთი ჯარიმა, თუმცა ამ საქმიანობაში აქტიურად არის ჩართული გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოც და ორივე სამსახური რეაგირებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში. მისი თქმით, გარკვეულ ტერიტორიებზე მონიტორინგს ახორციელებენ მუნიციპალური ინსპექციის თანამშრომლები, ხოლო გარკვეულ ტერიტორიებზე დამონტაჟებულია „ფოტო ხაფანგები“ და თითოეული სამართალდარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში ხდება შესაბამისი რეაგირება.

მამუკა გუგეშაშვილმა განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები შეთანხმებული იყვნენ ილია ელოშვილთან, რომ იგი, უფასო სასადილოებთან დაკავშირებით ტენდერის გამოცხადებამდე მიაწვდიდა ინფორმაციას, თუ რა პირობებით აპირებს თბილისის მერია ტენდერის გამოცხადებას და თხოვნით მიმართა კახაბერ გულედანს, ოპოზიციის წარმომადგენლებს მისცეს შესაძლებლობა, რომ, ნებისმიერ ფორმატში, წინასწარ გაეცნონ ტენდერის პირობებს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 6

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული ხმათა უმრავლესობით.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ლევან ნაროუშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. აღნიშნა, რომ ლევან ნაროუშვილი მრავალი წელი სხვადასხვა თანამდებობაზე წარმატებით მუშაობდა თბილისის მუნიციპალიტეტში, ხოლო ბოლო წლებია იკავებს გლდანის რაიონის გამგებლის თანამდებობას და იმედი გამოთქვა, რომ მისი საქმიანობა ახალ პოზიციაზე კიდევ უფრო წარმატებული იქნება.

კონსტანტინე ზარნაძემ ლევან ნაროუშვილს მადლობა გადაუხადა გლდანის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე მუშაობისას გაწეული საქმიანობისთვის. აღნიშნა, რომ გლდანის რაიონში დაიწყო ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება, დარწმუნებულია, რომ ის, მომავალი საქმიანობის პერიოდში, გადადგამს დედაქალაქისთვის ღირსეულ ნაბიჯებს და წარმატებები უსურვა მას.

შალვა ოგბაიძემ განაცხადა, რომ ლევან ნაროუშვილი „სწორთა შორის გამორჩეული ხელმძღვანელია“, რომლის საქმიანობა სასიკეთო იქნება ჩვენი დედაქალაქისთვის და წარმატებები უსურვა მას.

გიორგი ონიანი დაინტერესდა, დაიცავს თუ არა ლევან ნაროუშვილი საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებულ ვალდებულებას და, მოწვევის შემთხვევაში, დაესწრება საკრებულოს ფრაქციის სხდომას თუ ისიც, პოლიტიკური გადაწყვეტილებით, დაარღვევს კანონს.

მამუკა გუგეშაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ ლევან ნაროუშვილი ითანამშრომლებს საკრებულოს ოპოზიციონერ დეპუტატებთან და წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 5

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებებით მერის სარეზერვო ფონდი იზრდება 8200000 ლარით, საიდანაც ძირითადი თანხა მიმართული იქნება უკრაინელი ლტოლვილების დასახმარებლად და ასევე, თანხის გარკვეული ნაწილი მოხმარდება სტიქიით დაზარალებული მოქალაქეების დახმარებას.

ანა გოგოლაძე დაინტერესდა რატომ შემცირდა ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამა 10000000 ლარით და რა აღარ შესრულდება ამ მიმართულებით. ასევე დაინტერესდა, რითია გამოწვეული საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდირების გაზრდა 3000000 ლარით იმ ფონზე, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა გაძვირდა.

გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამისთვის გათვალისწინებული იყო 20000000 ლარი, თუმცა, ამ დროისთვის ფაქტობრივი ხარჯი არ არის გაწეული. ხარჯის გაწევა ამ მიმართულებით დაიწყება, სავარაუდოდ, შემოდგომიდან და აქედან გამომდინარე, ამ 10000000 ლარს, „ასე ვთქვათ, ვსესხულობთ" და ფინანსთა სამინისტროდან ტრანსფერის მიღების შემდეგ, აღნიშნული თანხა დაბრუნდება და სრულად გასწორდება ფაქტობრივი ხარჯი. ტრანსპორტის სუბსიდირებასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ წლის განმავლობაში კიდევ დაემატება თანხა ამ მიმართულებას, რადგან ტრანსპორტის კომპანიის შეთანხმებული ბიუჯეტი სრულად ჯერ კიდევ არ არის ასახული თბილისის ბიუჯეტში.

კონსტანტინე ზარნაძემ განმარტა, რომ ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამის მიმართულებით, იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამაში ჩართვას სჭირდება გარკვეული ტექნიკური პირობები, ვაწყდებით მთელ რიგ პრობლემებს, რის გამოც რთულია ამა თუ იმ „ქეისის შეკვრა", თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, დაფინანსების პრობლემა არ შეიქმნება.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 10

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

რადიოფიცირებისა და კენჭისყრის პროცედურების მონიტორინგის კომპიუტერულ სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და საკრებულოს თავმჯდომარემ განმეორებით დააყენა კენჭისყარე წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 4

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული $M_3$ კატეგორიის და $M_2$ კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტრო ტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით

„უნივერსიტეტი - ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით, სააგენტოს ენიჭება ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული საზოგადოებრივი ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობით მოსარგებლე პირების დაბლოკილი ბარათების განბლოკვის საკითხის განხილვის და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება.

ანა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ მასალაში მითითებულია, რომ ბარათის არაუფლებამოსილი პირის მიერ გამოყენება ხდება მაშინ, როდესაც ადამიანებს აქვთ ალცჰაიმერის დაავება ან სხვა სახის ფსიქოლოგიური პრობლემები და დაინტერესდა, მოითხოვს თუ არა სააგენტო რაიმე დოკუმენტაციას იმის დასტურად, რომ სოციალური ბარათი გამოყენებული იქნა არაუფლებამოსილი პირის მიერ და ვინც ბარათი გამოიყენა, მას ჰქონდა ფსიქიკური პრობლემები თუ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი იქნება სიტყვიერი ნდობა.

ვასილ აბულაძემ განმარტა, რომ მოთხოვნილი იქნება დოკუმენტაცია, რომლის წარმოდგენის შემთხვევაში, სააგენტოს ხელმძღვანელი იმსჯელებს გადაწყვეტილებაზე. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პირი, რომელმაც გამოიყენა სხვისი ბარათი არის შეზღუდული შესაძლებლობების ან სხვა სახის ფსიქიკური პრობლემების მქონე, სააგენტოს ხელმძღვანელს აქვს უფლებამოსილება მოახდინოს ბარათის განბლოკვა და მის მფლობელს მისცეს ბარათით სარგებლობის უფლება.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც ბავშვმა ისარგებლა ბებიის ბარათით, რის გამოც მის მფლობელს ბარათით სარგებლობის უფლება ჩამოერთვა ერთი წლის ვადით და დაინტერესდა, როგორ უნდა მოიქცეს მოქალაქე ასეთ შემთხვევაში.

ვასილ აბულაძემ განმარტა, რომ ბარათის არაუფლებამოსილი პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, სააგენტოს თანამშრომელს არ აქვს იმის შესაძლებლობა გაარკვიოს თუ რა მიზეზით მოხდა ბარათის გამოყება სხვა პირის მიერ. ხოლო, თუ ბარათის მფლობელი წერილობით მიმართავს სააგენტოს და წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, რომ პირი, რომელმაც გამოიყენა ბარათი არის მისი შვილიშვილი, მოხდება საკითხის განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე დავით ჯაიანმა და განმარტა, რომ ქსელის მუდმივი მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე, წარმოდგენილია $M_2$ კატეგორიის ავტობუსების ოცდათერთმეტ მარშრუტზე ინტერვალის შემცირება და ხუთი მარშრუტის გადატანა $M_3$ კატეგორიის ავტობუსებში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_3$ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე დავით ჯაიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით, $M_3$ კატეგორიის ავტობუსებში, $M_2$ კატეგორიის ავტობუსებიდან გადმოდის ხუთი მარშრუტი და ამასთანავე, ქალაქის სხვადასხვა რაიონებში, შვიდ მარშრუტზე მცირდება ინტერვალი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამშენებლო სამართალდამრღვევისთვის დადგენილებაზე წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველზე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაცნობის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ სამშენებლო სამართალდარღვევებთან მიმართებაში გამკაცრდა სანქციები იმდენად, რომ ზოგიერთ შემთხვევაში იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუმცა მაინც იყო პრობლემა, რომელიც ეხებოდა სამშენებლო სამართალდარღვევაზე მიღებული გადაწყვეტილების ჩაუბარებლობას, რაც იწვევდა იმ შედეგს, რომ ვერ ხდებოდა აღსრულება. ამ პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, მუნიციპალიტეტმა მიმართა საქართველოს პარლამენტს, რომელმაც მიიღო შესაბამისი კანონი. სწორედ ამ კანონის საფუძველზე, შემუშავებული იქნა ხსენებული წესი, რომლის მიხედვითაც იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო სამართალდამრღვევს პირველი საფოსტო გზავნილით არ ჩაბარდება ადმინისტრაციული საჩივრის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება, ის გამოქვეყნდება სამშენებლო ობიექტზე და ასევე, ოფიციალურ ვებგვერდზე, რის შემდეგაც, მეშვიდე დღეს, გადაწყვეტილება ჩაითვლება გაცნობილად და მუნიციპალიტეტს მიეცემა შემდგომი ქმედებების განხორციელების შესაძლებლობა. აქვე განმარტა, რომ წარმოდგენილი რედაქციით, გადაწყვეტილების გამოქვეყნება სამშენებლო ობიექტზე და ოფიციალურ ვებგვერდზე უნდა მოხდეს შვიდ დღეში, თუმცა სამსახური იზიარებს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის რეკომენდაციას, რომ გადაწყვეტილების გამოქვეყნების ვადა შეიცვალოს და მიეთითოს ათი დღე.

ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ 2021 წლის აგვისტოში, ფრაქციამ წერილობით მოითხოვა თბილისის მერიის ბალანსზე რიცხული მანქანების სია, თუმცა პასუხი დღემდე არ მიუღია და მიმართა სერგო ბირკაძეს - „თუ შეიძლება, პასუხი გაგვეცით“.

სერგო ბირკაძემ განმარტა, რომ ზოგადად, მერიის ბალანსზე რიცხული სამსახურებრივი ავტომანქანების შესახებ ინფორმაცია, სამსახურების მიხედვით, დეტალურად, გაწერილია თბილისის მთავრობის განკარგულებაში და შესაბამისად ყველასთვის ღიაა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის რეკომენდაციის გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 4

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის №64-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიგა გიგაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის მესამე სარტყელის პირველ არეალში, კერძოდ, დასაშვები გახდება განაშენიანება მხოლოდ ქალაქგეგმარებითი დოკუმენტით და ამასთანავე, იმისათვის, რომ მოხდეს ტერიტორიის განვითარება, დაინტერესებულმა პირმა უნდა დააკმაყოფილოს ხუთი წინაპირობა:

1. ტერიტორია აუცილებლად უნდა განვითარდეს ქალაქგეგმარებითი დოკუმენტის საფუძველზე;
2. განაშენიანების რეგულირების გეგმის მინიმალური ფართობი უნდა იყოს 50000 კვ.მ.;
3. 50000 კვ.მ.-დან მინიმუმ 70% ანუ 35000 კვ.მ. უნდა იყოს ღია სარეკრეაციო, საზოგადოებრივი სივრცეები, რაც გულისხმობს იმას, რომ ამ ტერიტორიით ისარგებლებს არა მხოლოდ მესაკუთრე, არამედ ნებისმიერი ადამიანი;
4. 50000 კვ.მ.-ში შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ 10% სახელმწიფო და მუნიციპალური მიწები, რაც გამორიცხავს შემთხვევას, რომ მიწის ნაკვეთის მფლობელმა სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის საკუთრების ხარჯზე მოახდინოს კონკრეტული ტერიტორიის განვითარება;
5. იქიდან გამომდინარე, რომ წესის მთავარი მიზანია თბილისის წყალსაცავის მაქსიმალური დაცვა დაბინძურებისგან, მშენებლობის ნებართვის მაძიებელს განაშენიანების რეგულირების გეგმის ეტაპზე აქვს ვალდებულება, რომ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეათანხმოს წყლის დაბინძურების პრევენციული ღონისძიებების რიგითობა, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის თავად ოპერატორი კომპანია და მშენებლობის ნებართვის მიღებამდე ყველა ქმედება განახორციელოს იმ რიგითობით, რაც შეთანხმებული იქნება უფლებამოსილ უწყებასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვერ მოიპოვებს მშენებლობის ნებართვას მიუხედავად იმისა, დამტკიცებული იქნება თუ არა ქალაქგეგმარებითი დოკუმენტი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

10. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიგა გიგაშვილმა და განმარტა, რომ ახალი წესის შემუშავება განპირობებულია იმით, რომ აქამდე არსებულ წესში, წლების განმავლობაში, განხორციელდა ძალიან ბევრი ცვლილება, რაც დაინტერესებული პირებისთვის ქმნიდა გარკვეულ ბუნდოვანებას და ამასთანავე, შემოთავაზებულ პროექტში გათვალისწინებულია დამატებით ახალი რეგულაციები: თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში გადარგვის დარეგულირება, კერძოდ, გადარგვის დროს აუცილებლად დადასტურებული უნდა იყოს გადასარგავი მწვანე ნარგავის გახარების შესაძლებლობა, რაზე დაყრდნობითაც მუნიციპალიტეტი მიიღებს გადაწყვეტილებას; დაზუსტდა, რომ გადარგვის ნებართვა გაიცემა მხოლოდ მშენებლობის საბოლოო ნებართვის გაცემის შემდგომ, რაც თავიდან აგვაცილებს ისეთ შემთხვევას, როდესაც თუ კონკრეტულ ტერიტორიაზე არ გაიცემა მშენებლობის ნებართვა, ვერ განხორციელდება მწვანე ნარგავის ადგილმონაცვლეობა; სპეციალურ ჭრებთან დაკავშირებით ზუსტდება ის გარემოებები, თუ რა დროში შეუძლია მუნიციპალიტეტს და უფლებამოსილ ორგანოს მიიღოს გადაწყვეტილება სპეციალურ ჭრასთან დაკავშირებით და დოკუმენტაციის ნუსხა, რომელიც წარმოდგენილი უნდა იქნას სპეციალური ჭრის მოთხოვნის შემთხვევაში; განისაზღვრა, რომ საკომპენსაციო რგვა, ნებისმიერი საფუძვლით, უნდა განხორციელდეს იმავე ან მიმდებარე საკადასტრო ერთეულზე; დღეს მოქმედი რედაქციით, ამა თუ იმ ტერიტორიაზე შესაძლებელია არსებული მწვანე ნარგავების 25%-ის ჭრის განხორციელება, ხოლო წარმოდგენილი პროექტით ზუსტდება, რომ 25% დაითვლება მხოლოდ ჯანსაღი მწვანე ნარგავებიდან და დაანგარიშებაში არ შევა ბუჩქოვანი მცენარეები, რაც დიდ შეღავათს მისცემს, როგორც მუნიციპალიტეტს, ასევე, დაინტერესებულ პირს; რეგულირდება უფლემოსილი პირის ან პირების მიერ შესაბამისი დასკვნის მომზადება, კერძოდ, დასკვნის მომზადების პროცესში იზღუდება არაკომპეტენტური პირების მონაწილეობა, რომლებიც ტერიტორიის შესწავლის გარეშე ხელს აწერენ დასკვას და ამასთანავე, საჭირო გახდა პრევენციული ღონისძიებების გატარება, რომლის მიხედვითაც თუ ბაზაში რეგისტრირებული უფლებამოსილი პირი წარმოადგენს არასწორ დასკვნას, აეკრძალება საქმიანობა იმ ნაწილში, რა ნაწილშიც მოხდა მისი, როგორც უფლებამოსილი პირის დარეგისტრირება; უკანონო ჭრებთან დაკავშირებით არსებული პრობლემიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტში ინიცირებულია კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე არსებული 500 ლარიანი ჯარიმა იზრდება 5000 ლარამდე, ხოლო განმეორების შემთხვევაში, 1000 ლარიდან იზრდება 10000 ლარამდე და ასევე, გასამმაგდება მიყენებული ზიანის საკომპენსაციო ღირებულება. აქვე აღნიშნა, რომ ერთ-ერთი დამატებითი პრევენციული მექანიზმი არის ის, რომ შეიზღუდოს იმ ტერიტორიის ნაწილის სამშენებლოდ გამოყენება, სადაც განხორციელდა უკანონო ჭრა.

ლევან ჟორჟოლიანმა სხდომაზე წარადგინა კომისიის დასკვნა და გააჟღერა კომისიის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნები, რომელთა გათვალისწინებითაც უნდა იქნას მიღებული წარმოდგენილი წესი, რასაც ეთანხმება გარემოს დაცვის სამსახური (იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დასკვნა ოქმს თან ერთვის).

გიორგი ონიანი დაინტერესდა თუ რა გაირკვა ფიჭვების ხმობასთან დაკავშირებით და გატარდა თუ არა რაიმე ღონისძიებები ამ მიმართულებით.

გიგა გიგაშვილმა განმარტა, რომ ფიჭვებთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევის შედეგად, რომელშიც ჩართულები იყვნენ არა მხოლოდ ქართველი, არამედ საერთაშორისო ექსპერტები, გაირკვა ფიჭვების ხმობის რეალური მიზეზი, რის შემდეგაც დაიწყო ბრძოლა ამ დაავადებასთან. საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ამ დაავადების დამარცხება შეუძლებელია და ყველაზე ეფექტური მექანიზმი მძლავრი კერების გასაქრობად, არის სანიტარული ჭრები, რაც განახორციელა მუნიციპალიტეტმა და ამ წლების განმავლობაში, გარემოდან ამოღებული იქნა 40000 გამხმარი და ზეხმელი ხე, ასევე, განხორციელდა ფიტო-სანიტარული სამუშაოები, რამაც ძალიან კარგი შედეგი იქონია იქ არსებულ ტერიტორიაზე და

ამ ღონისძიების შედეგად, ის ნარგავები, რომლებიც იყო დაზიანებული, მნიშვნელოვნად გაჯანსაღებულია. მისი თქმით, არსებობს არაერთი ისეთი კერა, სადაც საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა ამ კუთხით, თუმცა მასშტაბი იმდენად დიდია, რომ პრობლემის მოგვარება მოკლე დროში შეუძლებელია და ამასთანავე, მდგომარეობას ართულებს ის გარემოებაც, რომ ტერიტორია, სადაც ძირითადად ხელოვნურადაა გაშენებული ტყეები, არის საკმაოდ რელიეფური და ძალიან რთულია შესაბამისი სამუშაოების განხორციელება.

ბარბარა ჯიმელი-სულაშვილმა განაცხადა, რომ ჯარიმის გაზრდა მისასალმებელია, თუმცა, ამავდროულად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაც. მისი თქმით, კომისიის სხდომაზე, როგორც ოპოზიციის, ასევე, უმრავლესობის წევრების მხრიდან, გაჟღერდა სურვილი, რომ მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ხეები და მწვანე ნარგავები, მერიის მხრიდან გატარდეს გარკვეული ღონისძიებები.

გიგა გიგაშვილმა განმარტა, რომ ამ მიმართულებით შემუშავებულია გარკვეული პროგრამები და სამსახური მაქსიმალურად შეეცდება დაგეგმოს და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებები, რათა მოხდეს აღნიშნულის პოპულარიზაცია საზოგადოებაში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ - გიგლა მირცხულავას (პ/ნ: 62001005806) შორის 2014 წლის 28 იანვარს გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი NE-244-3-10773 ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ 2014 წელს, აუქციონის წესით, გაიყიდა 88 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომელზეც, დღეის მდგომარეობით, განთავსებულია მსუბუქი კონსტრუქცია - შენობა-ნაგებობა, რომლის რეკონსტრუქციაზეც 2016 გაცემულია ნებართვა. წარმოდგენილი პროექტით ხდება მიწის ნაკვეთზე არსებული შეზღუდვის „მშენებლობის უფლების გარეშე“ მოხსნა. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, აღნიშნულ მიწის ნაკვეთს რომ არ ჰქონოდა ხსენებული შეზღუდვა, 2014 წელს ფასთა სხვაობა იქნებოდა 23740 ლარი, რასაც კერძო მესაკუთრე გადაიხდის ამ პირობის მოხსნის სანაცვლოდ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

12. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, კრისტიან სტივენის ქუჩა №23-ში მდებარე 92.00 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.72.14.040.029.01.06.030) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია კ2 კოეფიციენტის მატების ფარგლებში მუნიციპალიტეტისთვის

გადმოცემული ფართების რეალიზაციის საკითხი. ზემოთ ხსენებული უძრავი ქონება ორჯერ იყო გატანილი აუქციონზე, თუმცა არ გაიყიდა, რის შემდეგაც დეველოპერმა მოიძია მყიდველი და ამ ეტაპზე წარმოდგენილია კრისტიან სტივენსის ქ.N23-ში მდებარე 92 კვ.მ. ბინის, 15%-იანი ფასდაკლებით, გასხვისება ფიზიკურ პირზე. აღსანიშნავია, რომ ამ გზით მიღებული შემოსავალი მიმართულია უსახლკაროთა ფონდში, რათა შემდგომ მოხდეს მათთვის ბინების შეძენა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

13. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, კრისტიან სტივენის ქუჩა N23-ში მდებარე 44.80 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.72.14.040.029.01.06.014) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ამ შემთხვევაშიც წარმოდგენილია კ2 კოეფიციენტის მატების ფარგლებში მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემული ფართების რეალიზაციის საკითხი და ამ შემთხვევაშიც, ზემოთ ხსენებული უძრავი ქონება ორჯერ იყო გატანილი აუქციონზე, თუმცა არ გაიყიდა, რის შემდეგაც დეველოპერმა მოიძია მყიდველი და ამ ეტაპზე წარმოდგენილია კრისტიან სტივენსის ქ.N23-ში მდებარე 44 კვ.მ. ბინის, 15%-იანი ფასდაკლებით, გასხვისება ფიზიკურ პირზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

14. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის I შესახვევის N6-ში მდებარე 74.30 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.061.01.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 74 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1996 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

15. „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, იუნკერთა ქუჩა N34-ში მდებარე 67.79 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.01.05.498.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა

ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 67 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2000 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

16. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის II ჩიხის N3-ში მდებარე 88.70 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.081.01.500) და ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის II ჩიხის N3-ში მდებარე 99.76 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.081.01.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ორი, 88 კვ.მ. და 99 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც, ოჯახთან ერთად, 1996 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

17. „ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზირი N25-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.003.005.01.531) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ფართების გადაცემა ექვსი ოჯახისთვის, რომლებიც 2004 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

18. „ქალაქ თბილისში, კორნელი სანაძის ქუჩა N43ზ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.442.01.517) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 16 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2011 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

19. „ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა №91-ში (საკადასტრო კოდი: №01.18.09.003.011.01.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 51 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც, ოჯახთან ერთად, 2012 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

20. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების I შესახვევი №3ა-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.05.011.303.01.823) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 60 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 2004 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

21. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა №8-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.05.030.001.01.507) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 39 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც, ოჯახთან ერთად, 2008 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

22. „ქალაქ თბილისში, აკაკი ვასაძის ქუჩა №30-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.12.018.034.02.512) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 101 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 2005 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

23. „ქალაქ თბილისში, წინამძღვრიშვილის ქუჩა №99-ში (საკადასტრო კოდი: №01.16.01.012.002.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 35 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2010 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

24. „ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა №14დ-ში, №14ზ-ში (საკადასტრო კოდები: №01.19.19.005.213, №01.19.19.005.217 და №01.19.19.005.007) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 194 კვ.მ. ფართის გადაცემა სამი ოჯახისთვის, რომლებიც 2006-2011 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

25. „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, მე-4 მიკრორაიონის კორპუს №15-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.08.006.007) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 290 კვ.მ. ფართის გადაცემა სამი ოჯახისთვის, რომლებიც 1996-2005 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

26. „ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩაზე, სამხედრო დასახლებაში (საკადასტრო კოდი: №01.19.19.005.057) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ 2021 წლის სექტემბერში, სამხედრო დასახლებაში, გახოკიძის ქუჩაზე, მოქალაქე მარინე გალელაშვილს საკუთრებაში გადაეცა ორი, 22 კვ.მ. და 26 კვ.მ. ფართი. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ არ იმყოფებოდა ქვეყანაში, ვერ შეძლო ერთი ხელშეკრულების გაფორმება და ამ ეტაპზე წარმოდგენილია 26 კვ.მ. ფართის მისთვის ხელახლა გადაცემა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

27. „ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში, I კვარტლის კორპუსი №12-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.27.008.005.01.121) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 36 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც, ოჯახთან ერთად, 2002 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

28. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა №6-ში მდებარე 78.86 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.15.07.017.054.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 78 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1990 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

29. „ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა №35-ში მდებარე 16.90 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.10.002.084.01.049) და 13.50 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.10.002.084.01.053) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 30 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1990 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

30. „ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა №98-ში მდებარე 45.00 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.11.10.010.032.01.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია კ2 კოეფიციენტის მატების ფარგლებში მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემული ფართების რეალიზაციის საკითხი. ზემოთ ხსენებული უძრავი ქონება ორჯერ იყო აუქციონზე გატანილი, თუმცა არ გაიყიდა, რის შემდეგაც დეველოპერმა მოიძია მყიდველი და ამ ეტაპზე წარმოდგენილია ხიზანიშვილის ქ.N98-ში მდებარე ორი ფართის, 15%-იანი ფასდაკლებით, გასხვისება ფიზიკურ პირზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

31. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, აკაკი ხორავას ქუჩა №13-17/ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა №5-ში მდებარე 111.62 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.15.07.017.048.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 111 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 1991 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

32. „ქალაქ თბილისში, ზაჰესში, ჭიჭინაძის ქუჩა №12-ში (საკადასტრო კოდი: №72.12.03.012.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 51 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1994 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

33. „ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლება №18-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.25.009.038.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 47 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 2012 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

34. „ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის I ჩიხი №14-ში (საკადასტრო კოდები: №01.19.33.001.195.01.502 და №01.19.33.001.195.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ორი, 17 კვ.მ. და 8 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2010 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

35. „ქალაქ თბილისში, ალექსიძის ქუჩა №1-ში (ნაკვეთი 40/014, საკადასტრო კოდი: №01.10.13.040.113.01.607) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 32 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც, ოჯახთან ერთად, 2009 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

36. „ქ.თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №57-ის მიმდებარედ 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.037.017) პირდაპირი განკარგვის წესით გია იმნაძესთვის (პ/ნ.01009002133) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის მოქმედების ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 3240 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

37. „ქ.თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. №50-54-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 2432 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: 01.14.11.004.047) ტერიტორიიდან 57 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „პროგრეს გრუპისთვის" (ს/კ.: 404612479) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის მოქმედების ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 10240 ლარს.

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ ღია კაფეები ყველას მოგვწონს და კარგია, თუმცა ისე არ უნდა იყოს მოწყობილი, რომ ტროტუარზე აღარ დარჩეს გზა ფეხით მოსიარულეთათვის.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ სააგენტო იცავს სტანდარტს, რომ ფეხით მოსიარულეთათვის უნდა დარჩეს 1.90 მეტრი გზა, თუმცა რთულია აღნიშნულის მონიტორინგი.

მიხეილ კაკაურიძე დაინტერესდა, ასეთ შემთხვევებში ხდება თუ არა ადგილობრივ მოსახლეობასთან შეთანხმება, რადგან ღია კაფეს ფუნქციონირებამ, ხმაურის თვასაზრისით, შესაძლებელია მაცხოვრებლებს შეუქმნას გაურკვეული დისკომფორტი ღამის საათებში.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ მუნიციპალიტეტი ამა თუ პირს ან კომპანიას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, იჯარით გადასცემს მუნიციპლაურ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს, თუმცა არის ისეთი შემთხვევები, რომ მიწის ნაკვეთი შედის საცხოვრებელი სახლის წითელ ხაზებში და ამ შემთხვევაში ხდება ამხანაგობასთან შეთანხმება. რაც შეეხება ღამის საათებში ხმაურს, აღნიშნა, რომ ამასთან დაკავშირებით კანონმდებლობით გათვალისწინებულია გარკვეული რეგულაციები, რომლის მონიტორინგსაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

38. „ქ.თბილისში, დაბა კოჯორში არსებული 549 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.01.12.188) პირდაპირი განკარგვის წესით დავით აღდგომელაშვილისთვის (პ/ნ: 01008016454) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის მოქმედების ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 4941 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

39. „ქ.თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. №64-74-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 3189 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: 01.14.11.002.626) ტერიტორიიდან 43 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჭავჭავაძის 64ა"-სთვის (ს/კ.: 404890908) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის მოქმედების ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 7740 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

40. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯი"-ს (ს/ნ: 404561568) შორის 2019 წლის 22 მარტს გაფორმებულ „იჯარის Nე-455-1-23227 ხელშეკრულების" ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მუნიციპალიტეტმა, 2019 წლის 22 მარტს, შპს „ქართლი ენერჯისთან" გააფორმა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ქალაქის ტერიტორიაზე, სამოც ლოკაციაზე დაამონტაჟებდა ელექტრო დამტენებს. ოცდაათი ლოკაცია თავიდანვე იყო განსაზღვრული და გათვალისწინებული იყო აუქციონის პირობებში, ხოლო დანარჩენი ლოკაციები, მოქალაქეთა მოთხოვნების საფუძველზე, კომპანიისთვის უნდა მიეწოდებინა მუნიციპალიტეტს. ამ ეტაპზე, კომპანიას, ელექტრო დამტენები დამონტაჟებული აქვს ოცდათექვსმეტ ლოკაციაზე და დღეს წარმოდგენილია კომპანიისთვის დარჩენილი ოცდაოთხი ლოკაციის მიწოდება, სადაც ელექტრო დამტენების დამონტაჟება უნდა მოხდეს ექვსი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

41. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, მახინჯაურის ქუჩა №8-ში მდებარე 372 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №01.12.12.031.041) და ქალაქ თბილისში, ლიბანის ქუჩა №14-ის მიმდებარედ არსებული 1654 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №01.11.03.004.044) მიწის ნაკვეთების გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია კერძო და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა, რაც გამოწვეულია იმით, რომ კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მოწყობილია სკვერი და მოსახლეობის თხოვნაა აღნიშნულ ტერიტორიაზე არ მოხდეს განაშენიანება. აღსანიშნავია, რომ კერძო მესაკუთრე უარს აცხადებს მიწის ნაკვეთებს შორის არსებული ფასთა სხვაობის მიღებაზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

42. „ქალაქ თბილისში, ჩიქოვანის ქუჩა №36-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.10.17.023.001.01.01.032) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციისთვის" (ს/ნ.: 405185400) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ა(ა)იპ „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციას" უძრავი ქონება გადაეცემა უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ორი წლის ვადით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

43. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.№1 (ს/კ.: №01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ.№3 (ს/კ.: №01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.№6, კორპუსი 14, (ს/კ.: №01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.№16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი №1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: №01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა №2 (ს/კ.: №01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.№45-47-49 (ს/კ.: №01.13.05.004.173, №01.13.05.004.059, №01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ბოხუას ქ.№10, (ს/კ.: №01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" (ს/ნ.: 204460957) და შპს „ანაგი დეველოპმენტ 3"-ის (ს/ნ.: 404592008) მიმართ მისამართზე -

ქ.თბილისი, ბოჭორმის ქ.№27 (ს/კ.: №01.17.13.047.013) მდებარე მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების ფარგლებში, შპს „ანაგი დეველოპმენტ 3" 1686040 ლარით დააფინანსებს შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" გასარემონტებელ ობიექტებს, ხოლო სანაცვლოდ, კომპანია, ბოჭორმის ქ.N27-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მიიღებს „კ" ზღვრული მაჩვენებლის მატების უფლებას 4.6-დან 6.0-მდე, რაც ნიშნავს ორი სართული მომატებას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

44. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ საკრებულომ დაამტკიცა ავარიული სახლების ჩანაცვლების წესი, რომლის თანახმადაც მესაკუთრეებს შეუძლიათ მიმართონ მუნიციპალიტეტს და უზრუნველყონ ავარიული სახლების ჩანაცვლება, თუმცა ეს არ არის ერთადერთი ალტერნატივა და არსებობს წესი, რომელიც გულისხმობს, ამ პროცესში ინვესტორების ჩართულობას. მისი თქმით, ეს წესი ეხებოდა მხოლოდ მეხუთე კატეგორიის ხარისხის შენობა-ნაგებობებს, ხოლო წარმოდგენილი ცვლილებით, შეეხება მეოთხე კატეგორიის შენობებსაც. ასევე, ზუსტდება, რომ მესაკუთრეებისთვის უნდა მოხდეს მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ ფართზე არანაკლები ფართის გადაცემა, გარემონტებულ მდგომარეობაში. ამასთანავე, ზუსტდება, რომ საჭირო მესაკუთრეების 100%-ის თანხმობა და პრეფერენციების დროს, გამონაკლისი არ მოხდება კ1 კოეფიციენტთან დაკავშირებით, მიჯნის ზონასთან და ავტოსადგომებთან მიმართებაში და ეს რეგულაცია არ შეეხება ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონაში არსებულ შენობა-ნაგებობებს.

ზურაბ ჩიკვილაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროექტი თითქოს გვერდს უვლის ძველ უბნებს და აღნიშნა, რომ ძველ უბნებში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გარდა, არის ძალიან ბევრი ისეთი ავარიული შენობა-ნაგებობა, რომლის განახლება, ახლის აშენება და სტიმულაცია მნიშვნელოვანია და სისტემაში უნდა მოვიყვანოთ. აქედან გამომდინარე, გაუგებარია რატომ არის პროექტი წარმოდგენილი სახით და რატომ არ უნდა შეუწყოთ ხელი ინვესტორს ამ მიმართულებით. მაგალითისთვის ისაუბრა ჩუღურეთის რაიონზე, სადაც 4000 ძველი თბილისური ტიპის ეზოა, რომელთაგან 535 არის ძეგლი და შესაბამისად, 3500 ავარიული შენობაა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ თითქმის არანაირი განსხვავება არ არის მესამე და მეოთხე კატეგორიის შენობა-ნაგებობას შორის და პირიქით, მესამე კატეგორიის შენობა კიდევ უფრო საშიში და ყურადღებამისაქცევია იმ თვალსაზრისით, რომ მეოთხე კატეგორიის შენობისგან განსხვავებით, იქ ცხოვრობენ ადამიანები.

სერგო ბირკაძემ განმარტა, რომ არსებობს წესი, რომლის თანახმადაც, მუნიციპალიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი ჩანაცვლება ეხება მესამე, მეოთხე და მეხუთე კატეგორიის შენობა-ნაგებობებს. ხოლო ამ შემთხვევაში ძველი უბნების არგათვალისწინება გამოწვეულია იმით, რომ ძველ უბნებში არ მივიღოთ მაღალი ინტენსივობა, რადგან ინვესტორის ჩართულობით ხდება გაცილებით მაღალი მოცულობის შექმნა.

ზურაბ ჩიკვილაძემ განაცხადა, რომ მუნიციპალური პროგრამა სრულად ხორციელდება ბიუჯეტის თანხით, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ძველ უბნებში მშენებლობის

მოცულობის გაზრდა სენსიტიური საკითხია, შესაძლებელია გარკვეული ჩარჩოს დადგენა, რომლის ფარგლეშიც ჩანაცვლებას განახორციელებს ინვესტორი.

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ ძველ თბილისში კოეფიციენტის მატების დაშვება ძალიან საფრთხილოა, ხოლო ამ პროგრამის განხორციელების ფარგლებში საჭიროა. მისი თქმით, ისტორიული ქალაქი არ არის მხოლოდ ძეგლები და ამა თუ იმ ქუჩაზე მდებარე კულტურული ძეგლი განსაზღვრავს მაქსიმალურ ინტენსივობას და შესაძლებელია ესა თუ ის კონკრეტული შენობა არ წარმოადგენდეს ფასეულობას, მაგრამ მასზე კოეფიციენტის მატება დააზარალებს იმ უბანში მდებარე კულტურულ ძეგლებს. ხოლო თუ ინვესტორს არ აქვს კოეფიციენტის მატების სურვილი, დღესაც აქვს შესაძლებლობა განახორციელოს ესა თუ ის პროექტი.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ ძალიან საშიში მიმართულებით მივდივართ, რადგან ის პრობლემა, რომელსაც ჰქვია „ცენტრ პოინტი ჯგუფის" დაუმთავრებელი მშენებლობით დაზარალებულების დაკმაყოფილება, გასაგებია და ის ზიანი და სიკეთე, რაც შეიძლება ამ კუთხით მივიღოთ დათვლადია. ხოლო რაც შეეხება წარმოდგენილ საკითხს, იქიდან გამომდინარე, რომ ქალაქში ამორტიზებული შენობების რაოდენობა დიდია და სამომავლოდ კიდევ უფრო გაიზრდება, ამ შესაძლებლობის დამატება არის „ახალი, კორუფციული ჯიბის გაჩენა". განაცხადა, რომ ყველა ინტერესთა კონფლიქტი და საეჭვო ურბანული გადაწყვეტილება, რომელიც მიღებული იქნა მისი საკრებულოს წევრობის პერიოდში, დაკავშირებულია სწორედ იმ შესაძლებლობასთან, რომ „ცენტრ პოინტ ჯგუფის" დაზარალებულების ფონდში ხდება კომპენსაციის ჩარიცხვა, რაც მისი თქმით, დადასტურდა საკრებულოს წინა სხდომაზე მიღებული ყოვლად გაუმართლებელი გადაწყვეტილებით, როდესაც თბილისის მერთან დაახლოვებულმა პირმა, კახაბერ კობაივანოვნა, გაიორმაგა კოეფიციენტი ნუცუბიძეზე. მისი თქმით, გაჩნდება ასეთი შემთხვევების გაჩენის შეუზღუდავი შესაძლებლობა, რადგან აუცილებლად მოიძებნება სხვა თანაზომადი პრობლემა, რომლის გადასაჭრელადაც ვიტყვით, რომ ინვესტორს უნდა მივცეთ კოეფიციენტის მომატების საშუალება, რათა მოვაგვაროთ ესა თუ ის პრობლემა. განაცხადა, რომ ეს არის უზარმაზარი ახალი მიმართულება და აქვს მოლოდინი, რომ ადამიანები თავის პოტენციურ საცხოვრებელ სახლებს დააზიანებენ იმისათვის, რომ მიიღონ სტატუსი, რათა შემდგომ მიეცეთ კოეფიციენტის გაზრდის შესაძლებლობა.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში, „ცენტრ პოინტ ჯგუფის" მიერ დაზარალებულების დაკმაყოფილების პროექტისგან განსხვავებით, არავინ უნდა იფიქროს ის, რომ რადგან შენობა ავარიულია, იქ ნებისმიერი კოეფიციენტის მიცემაა შესაძლებელი. თითოეული პროექტის შემთხვევაში დათვლილი იქნება მოსახლეობის მფლობელობაში არსებული ფართი და გადამეტება მოხდება მხოლოდ იმ მინიმალური ოდენობით, რომ პროექტი იყოს საინვესტიციოდ მიმზიდველი, ხოლო მოსახლეობას არ ექნება იმის ფუფუნება, მოითხოვოს დამატებითი ფართი. აქედან გამომდინარე, აღნიშნული მნიშვნელოვანია საბა ბუაძის მიერ გამოთქმული საშიშროების საწინააღმდეგოდ.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ „ცენტრ პოინტ ჯგუფის" პრობლემა სასრულია და ცნობილია მისი მოცულობა, თუმცა, ქალაქში, სადაც ავარიული შენობების რაოდენობა ყოველწლიურად იმატებს, გამონაკლისი აუცილებლად გახდება წესი. მისი თქმით, „ცენტრ პოინტ ჯგუფის" პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით, ის კომპანიები, რომლებსაც უკმაყოფილდებათ მოთხოვნები, ძირითადად არიან მმართველი პარტიის შემომწირველები და თითქმის ყველა შემთხვევაზე ისმის ძალიან ბევრი კითხვა. აქედან გამომდინარე, სამომავლოდ, როდესაც ვაჩენთ „ცენტრ პოინტ ჯგუფთან" შედარებით გაცილებით უფრო დიდ შესაძლებლობას, ზიანი გაცილებით დიდი იქნება, რადგან ეს მექანიზმი გამოყენებული იქნება არაკეთილსინდისიერად.

რევაზ სოხაძემ განმარტა, რომ თითოეულ პროექტზე მოთხოვნილი კოეფიციენტი ეკონომიკურად ისევე იქნება დათვლილი, როგორც ეს არის დაუმთავრებელი მშენებლობების შემთხვევაში, როდესაც მოგება არ უნდა აღემატებოდეს 20%-ს და აქედან გამომდინარე, ამას ვერავინ გადააჭარბებს.

საბა ბუაძე დაინტერესდა, არსებობს თუ არა ვალდებულება ფინანსურ მოდელთან დაკავშირებით.

სერგო ბირკაძის თქმით, აღსანიშნავია, რომ ერთ მხარეს არიან დაზარალებული ადამიანები და „ცენტრ პოინტ ჯგუფის" დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით მუნიციპალიტეტის მხრიდან გადადგმული ნაბიჯების შედეგად, დაკმაყოფილდა 10000-ზე მეტი ოჯახი და ბუნებრივია, არის ისეთი გადაწყვეტილებებიც, რომლებიც ურბანული თვალსაზრისით გამართლებული არ არის, თუმცა სხვა რა უნდა გააკეთოს მუნიციპალიტეტმა, თუ არა გარკვეული სიკეთის დათმობა, სხვა უფრო დიდი სიკეთის საპირწონედ? განაცხადა, რომ შორს არის აზრისგან, რომ ვინმემ შეიძლება სახლი დაანგრიოს და მოიყვანოს ინვესტორი მაშინ, როდესაც ან მიიღებს, ან ვერ მიიღებს გარკვეულ პრეფერენციებს. მისი თქმით, ამ გადაწყვეტილების უკან დგანან მესამე, მეოთხე და მეხუთე კატეგორიის ავარიული სახლების მაცხოვრებლები, რომლებიც ელოდებიან მუნიციპალიტეტის მხრიდან ქმედითი ნაბიჯების გადადგმას. ბუნებრივია, ამ შემთხვევაშიც შეიძლება აღნიშნულს გარკვეულწილად შეეწიროს ურბანული სიკეთე, თუმცა ამის საპირწონე არის მოსახლეობა და უნდა გადავწყვიტოთ არის თუ არა ეს სიკეთე ამის პროპორციული. რაც შეეხება ფინანსურ მოდელთან დაკავშირებით არსებულ ვალდებულებას, განმარტა, რომ „ცენტრ პოინტ ჯგუფის" თუ სხვა კომპანიის მიერ დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით განხორციელებულ ყველა პროექტს თან ახლავს ფინანსური გაანგარიშება, სადაც მითითებულია, თუ რა რაოდენობის პრეფერენციას აძლევს მუნიციპალიტეტი და არის თუ არა ის არსებული ვალდებულებების საპირწონე. კერძოდ: ოფიციალური დოკუმენტებით ხდება ვალდებულებების დადასტურება, რა საჭიროებაა საკმარისი ამ ვალდებულების დაკმაყოფილებისთვის და ამას პლიუს არაუმეტეს 20%-იანი აირარი.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ შეჩერდა კოეფიციენტების გაყიდვა, თუმცა დარჩა შესაძლებლობა, რომ ვიწრო ჯგუფმა მაინც მოახერხოს კოეფიციენტის გაზრდა, რადგან აღნიშნული გადაწყვეტილებით იხსნება კოეფიციენტის გაზრდის შესაძლებლობის ახალი ფანჯარა და მიმართა უმრავლესობის წევრებს: „ძალიან გთხოვთ, თითოეულ თვენგანს, მერე აღარ გამოხვიდეთ და აღარ თქვათ, რომ ჩვენ შევზღუდეთ და ავკრძალეთ კოეფიციენტების გაყიდვა".

კახაბერ ლაბუჩიძემ განაცხადა, რომ მისასალმებელია წინა მოწვევის საკრებულოს მუშაობა იმ მიმართულებით, რაც 30 წლის განმავლობაში ვერ გააკეთა ვერც ერთმა ხელისუფლებამ და ამ ეტაპზე უკვე დაწყებულია ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და ძირითადად, ე.წ. ხრუშჩოვკების ჩანაცვლების პროცესი. მისი თქმით, მიმდინარეობს მუშაობა „ძველი თბილისური ეზოების" ჩანაცვლების სისტემის მოფიქრებაზე, რაც საკმაოდ მრავლად არის თბილისის რამდენიმე უბანში და ბევრ მათგანში აღარავინ ცხოვრობს, რადგან ხელისუფლებამ ვერაფერი შესთავაზა მათ, ხოლო ინვესტორისთვის არამიმზიდველია. მისი თქმით, მოსახლეობა დღევანდელი ხელისუფლებისგან ელოდება ქმედითი ნაბიჯების გადადგმას და მუნიციპალიტეტი მაქსიმუმს გააკეთებს იმისათვის, რომ გადაიჭრას ეს პრობლემა.

ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტს აქვს მექანიზმი და ყველა ბერკეტი იმისთვის, რომ აკონტროლოს კომპანიის მოგებაც, კოეფიციენტის გადაჭარბების ოდენობაც და შესაბამისად, ვერავინ მოახერხებს არაადეკვატური მოგების მიღებას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

45. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, წინადადებები წარმოდგენილია თბილისის მერის წერილებით: N12-03220835-03 თარიღი: 24.03.2022 (განსახილველად წარმოდგენილია მხოლოდ „თ“ პოზიცია), N12-032213893-03 თარიღი: 18.05.2022, N12-032213915-03 თარიღი: 19.05.2022, N12-032214555-03 თარიღი: 25.05.2022 და N12-0322159119-03 თარიღი: 08.06.2022, რომელთაგან, საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, დამატებით შესწავლას მოითხოვს და უმჯობესია განსახილველად გადაიდოს N12-0322159119-03 წერილით წარმოდგენილი „გ“ „ვ“ და „თ“ პოზიციები, ხოლო დანარჩენ პოზიციებზე ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

